საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 5 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი წვრილ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 252 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 252

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდამწვარი ქვრივი ალექსანდრა (ამ.) და შვილები მიშა, სონია ჯაფარიძისა, ვერა გოცირიძისა, ნინა, მარუსია და ანიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 7 ნოემბერს ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში დილის 10 საათზე დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

პავლე შაველის ძე გვარამიას

სულის მოსახსენებლათ. (3563—1—1)

გულმოკლული მეუღლე მირიან ბესარიონის ძე უნგიაძე, შვილი ნოე, დედა ლიზა, დაი ნინა დვალიშვილი, მაზლები: რამან, ერმილო, პავლე, დომენტი და შალვა, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეგობართ მათვის დაუვიწყარი და საყვარელი

ლიუდმილა ნოეს ასული უნგიაძის

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 7 ამა თვეს ნაშუადღევის 3 ს. წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან. (ზუბერნი შესახვევი № 6.) პანაშვიდი ყოველ დღე. (3560—2—2)

ალექსანდრე პეტრეს ძე კაკაბაძე, მეუღლე მისი ნინა ბეგლარის ასული და შვილები: თამარი, ვახტანგი და ნუციკო აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათთვის მარად დაუვიწყარის და სათაყვანებელის

შალვა (ბუჭუ) კაკაბაძის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე კვირას, 7 ნოემბერს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. კუხის ეკლესიაში. (3574—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, ნოემბრის 6-ს

ოტელო

შექსპირისა.

ახალი დეკორაციებით და კოსტიუმებით მხატვარის ალ. ზალცმანისა და ახალი მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. რეჟისორი აკაკი ფაღავა. (ნ. 3—2)

რკინის გზის სასწავლო განყოფილება იწვევს
ზელ-გარჩილობის მასწავლებელს

თფილისის ქართულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის 18 გაკვეთილზე, საჭიროა დამთავრებული ჰქონდეს ფრებელის კურსები. ელისაბედის ქუჩა 200. (3573—1—1)

კვირას, 7 ნოემბერს, დღის 12 საათზე (ახ. დრ.) ქართული კლუბის დარბაზში (დამფ. კრების ქუჩა № 5) დანიშნულია წ. კ. გ. ს. თფილისის განყოფილების წევრთა

საზოგადო კრება

განსახ. საგანი, განყოფილების გამგეობის არჩევა. (3573—1—1)

სახელმწიფო გამოცდების კომისია

სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე კურს დასრულებულთათვის სწავლა-განათლების სამინისტროს მიერ უკვე დანიშნულია და შეუდგება გამოცდებს მიმდინარე 1920 წლის 1 დეკემბრიდან.

გამოცდების დაჭერის მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელს წარუდგინონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქნეს მოწმობა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის კურსის შესრულებისა, გამოცდების ჩაბარებისა წლოვანებისა და ორას ორმოცდა ათი მანეთი (250 მ.). (3551—3—2)

მეორე ქართული კლუბი

პარასკევს, 5 ნოემბერს 7 საათზედ საღამოს დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

ფრიად საჭირო კითხვების განსახილველათ. წევრთა დასწრება აუცილებელია. (ნ. 2—2)

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთის სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის თხოვნის თანახმად

ქ. ოზურგეთში
გაიხსნა საზოგადოების განყოფილება

სადაც გაიგზავნა მრავალი საქონელი. იქნება დარიგებული მეორე პარტია ქართოფილი თითო ფუთი ოჯახზე 600 მანეთად ფუთი იქვე იყიდება კომბოსტო, თითოეულ წევრს შეუძლია მიიღოს 3 ფუთამდე. საზოგადოების განყოფილებაში წევრებს ეძლევათ საპონი, საკუთარ ქარხანაში დამზადებული. ამ დღეებში ელოდებიან საზამთრო მანუფაქტურის დიდ პარტიას და დაურიგდება იაფ ფასებში, როგორც წევრებს ისე კერძო მოქალაქეებს. (ანგ. 2—2)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რომ თავისუფალია

ქიმიური ლაბორატორიის გამგის ადგილი

ვისაც ამ ადგილის დაჭერა სურს, ნოემბრის 10 რიცხვამდი ქალაქის გამგეობაში სათანადო განცხადება უნდა შემოიტანოს და თან წარმოადგინოს თავისი „curriculum vitae". თვიური ჯამაგირი 9.000 მანეთი (სავალდებულო დამატებებით) და კერძო ანალიზების შემოსავლის 50 %. (ნ. 2—1)

ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობა

აცხადებს

რომ გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში, როგორც თფილისში, ისე პროვინციაში შემდეგი გამოცემანი:

		ფასი
№ 1	ყარიბი. წითელი წიგნი	200 მან.
„ 2	ნოე ჟორდანია. თხზულებანი I ტ.	250 „
„	„ „ II ტ.	200 „
„ 3	პროფ. ს. ავალიანი მსოფლიო ისტორია I ტ.	200 „
„ 4	„ „ „ II ტ.	120 „
„ 5	ივ. ელიაშვილი. დედა ბუნებას ძირითადი კანონი	35 „
„ 6	„ „ ბუნების სარკე	160 „
„ 7	ს. იაშვილი. ბატანიკა	100 „
„ 8	„ ევროპა	120 „
„ 9	ა. წერეთელი. მსოფლიო ისტორია I	120 „
„ 10	„ „ „ II	150 „
„ 11	„ „ „ III	150 „
„ 12	ა. ჩხენკელი. ბუნება	150 „
„ 13	„ ბატანიკა	250 „
„ 14	ს. დათეშიძე არითმეტიკული ამოცანათა კრებული	110 „
„ 15	Я. Зедгинидзе и В. Джапаридзе Методическая Христом.	320 „
„ 16	ი. ზედგენიძე. ახალი ქართული ანბანი	150 „
„ 17	უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პროგრამა	50 „

შემოხსენებული გამოცემანი აღნიშნული ფასებით იყიდება მხოლოდ მთავარ საწყობში. მთავარი საწყობი მოთავსებულია ამხანაგობის სტამბასთან თფილისში, რუსთაველის პრ. № 26, ტელეფ. 4—73. (3578 1—1)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის
გამგეობა

ამით აუწყებს თავის მოკავშირეებს, რომ ამა წლის 24 ნოემბერს, დღით ოთხშაბათს, დილის 10 საათზე ქალ. თფილისში დანიშნულია საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა 1-ლი

წლიური ყრილობა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოპერაცია.
2) რწმუნებულთა კრებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
3) კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4) მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
5) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6) კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთაღრიცხვას განხილვა და დამტკიცება.
7) კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.
8) მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
9) სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
10) კავშირის წესდების გადასინჯვა.
11) საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობის მოხსენება.
12) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
13) მიმდინარე კითხვები.

თანახმად კავშირის წესდების მე 8, 9, 10 და 11 §§-ისა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის **წევრებათ ითვლებიან**.

გომის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯავახოს, ნატანების, სამტრედიის, ზუგდიდ სამურზაყანოს, ზესტაფონის, ჭიათურა-საჩხერის, გორის, სენაკის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორონცოვის, ქუთაისის, თფილისის, სოხუმის და კახეთის რაიონების კოოპერატივთა კავშირები, სომხეთის კოოპერატივთა კავშირი „აიკოპა", მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი, ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია", ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება, ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 და 30 §§-ისა ზემო ჩამოთვლილი კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ:

გომის კავშირი—8 რწ., ჩოხატაურის—5 რწ., ოზურგეთის—3 რწ., ლანჩხუთის—3 რწ., საჯავახოს—2 რწ., ნატანების—2 რწ., სამტრედიის—5 რწ., ზუგდიდ-სამურზაყანოს—8 რწ., ზესტაფონის—8 რწ., ჭიათურა-საჩხერის—5 რწ., გორის—5 რწ., სენაკის—5 რწ., აბაშის—3 რწ., დუშეთის—3 რწ., სიღნაღის—10 რწ., ლორის—5 რწ., ვორონცოვის—1 რწმუნ., ქუთაისის—10 რწმუნებული, თფილისის 10 რწ., სოხუმის—3 რწ., კახეთის—8 რწ., მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი—1 რწ., ფოთის მომხ. საზოგადოება „ეკონომია"—1 რწ., ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება—2 რწ., ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა ამხანაგობა 1 რწ.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 §-ისა რწმუნებულთა კრება შესდგება კავშირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურად ამორჩეულ პირებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ კავშირის წესდების §§ 9, 10, 11, 29 და 30 აღნუსხული მოთხოვნილებანი, მოახდინონ სპეციალური რწმუნებულთა კრებები წარმომადგენლების ასარჩევად და არჩეულთა სია სათანადო ბლანკზე ბეჭდის დასმით დამტკიცებული დაუყონებლივ გადმოგზავნონ ცენტრალურ კავშირში.

დაწვრილებით ცნობებს ყრილობის ადგილის, რწმუნებულთათვის ბინის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მთავარ კანტორაში (მუშტაიდი, კოოპერაციის ქუჩა, საკუთ. სახლი № 15).

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის **გამგეობა**.

(ნ. 3—2)

ჩვენს ძალებს

საქართველოს დემოკრატია ყოველთვის განირჩეოდა იმით, რომ იგი ერიდებოდა ომსა და სისხლის ღვრას. როგორც შიგნით, ისე გარეთ, იგი ყოველთვის მისდევდა მორიგების გზას, შეთანხმების საშუალებებს ეძებდა, რომ ამით თავის მოქალაქეთა სისხლი, სიცოცხლე და ქონება შეენარჩუნებინა.

მაგრამ გარეშე მტრები, ყველა ის ფეოდალური და რეაქციონური ძალები, რომელთა არსებობის მიზანია—ადამიანთა დაჩაგვრა და აწიოკება, გამუდმებით თავს ესხმოდენ ჩვენს ქვეყანას.

საკმარისი იყო ჩვენი სისუსტე ოდნავ მაინც შეენჩნიათ, რომ დაუყონებლივ იარაღით შემოგვიტევდენ.

დენიკინის ლაშქარი, ბოლშევიკების წითელი არმიელები, აღერბეიჯანის კომუნისტები და სხვ. ყველანი ჩვენს გადაჯირგვალებას და აოხრებას ცდილობდენ.

რევოლიუციური თფილისი თავის სოციალისტური ტაქტიკით, თავის სწორი დემოკრატიული პრინციპებით, არ აძლევს მათ სულის სიმშვიდეს.

და აი დღესაც ჩვენს გარშემო ისევ შავი ღრუბლები იკრიბებიან, უფრო სქლათ, ვინემ გუშინ. ყარსის დაცემა და მეზობელ—სომხეთის რესპუბლიკის ომით დამარცხება, ეს არის იმავე დროს ჩვენს წინაშე საშინელი საფრთხის აჩრდილის წამოყენება.

მეზობლის უბედურება ამ მხრივ არის იმავე დროს ჩვენი უბედურებაც. სამწუხაროთ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ ამ მეზობლებთან ისეთი მტკიცე ურთიერთობის დამყარება, როგორიც საჭიროთ მიგვაჩნდა.

ვერ მოვახერხეთ არა ჩვენის მიზეზით. ამის ბრალს არ ვდებთ არც სომხეთის დემოკრატიას, რომელსაც ჩვენ სულით და გულით თანავუგრძნობთ მის უდიდეს განსაცდელის დღეს.

მაგრამ ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ფაქტი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. საქართველოს დემოკრატია დღეს ისეთი მეგობრებით არ არის გარს შემორტყმული, რომელნიც მას დახმარებას გაუწევენ მათ ან არ შეუძლიათ ეს, ან არ მოისურვებენ, ან კიდევ სამტროთ არიან განწყობილნი.

ასეთ პირობებში ჩვენ გვყავს მხოლოდ ორი დამხმარე, ერთია—ჩვენივე შინაგანი სიმტკიცე, მეორეა—თანაგრძნობა და დახმარება ევროპის დემოკრატიის. შინაგანი სიმტკიცე ერთიანათ ჩვენს უნარსა და პოლიტიკურ შეგნებაზეა დამყარებული. გარეშე ძალის, ევროპის დემოკრატიის დახმარების მიღებაზე უნდა იზრუნონ ჩვენმა მმართველმა წრეებმა. შინ საქართველოს დემოკრატიამ დაუყონებლივ უნდა გაიღოს სურსათი და შეამზადოს ყოველივე, რაც საჭიროა მოსალოდნელ თავდასხმის მოსაგერებლად, გარეთ მთავრობამ უნდა შექმნას ატმოსფერა თანაგრძნობის და დახმარების.

გლეხებმა უნდა გაიღონ პური და სანოვაგე—ჯარისა და გვარდიისთვის. უკანასკნელთ უნდა მიმართონ თავის მკლავი მტრის დასახვედრათ და ფხიზელზე უფხიზლეს დარაჯათ დადგნენ ჩვენს საზღვრებზე.

მთავრობამ უნდა ისარგებლოს აქ მყოფ ევროპის მუშათა სოციალისტურ დელეგაციის წევრების მეგობრობით და დაუყონებლივ მიაპყროს მათი ყურადღება ჩვენი დემოკრატიის დაცვისაკენ.

ჩვენი დემოკრატია იცავს თავის არსებობას, თავის რევოლიუციურ შენაძენს, დემოკრატიულ და სოციალისტურ განვითარების პოლიტიკო-ეკონომიურ პირობებს და ამავე დროს—აკეთებს ამით საერთო დიდ საქმეს მთელ დემოკრატიისთვის. გვაძლევს მსოფლიო კლასისთვის სოციალისტურ მთავრობის ნამდვილ და სწორი პოლიტიკის ერთ-ერთ ნიმუშს.

იგი ამ შემთხვევაში ყურადღების და დახმარების ღირსია მთელი ევროპის მუშათათვის. მისი საქმე, ევროპის მუშათა საქმეთ იქცევა, მისი დაცვა ევროპის პროლეტარიატის თავდაცვის საკითხათ,

საქართველოს გარშემო სხვა მრავალი ინტერესებიც არის დაგროვილი, რომელთა შენარჩუნება ევროპის ცივილიზაციის საერთო საკითხია.

ოსმალთა ბარბაროსობისაგან მათი დახსნა, და მით აზიის ყურეში—ევროპიულ გზაზე მდგომი ერის გადარჩენა—ეს აუცილებელი მოთხოვნილებაა მთელი კულტუროსანი კაცობრიობის.

და ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია თავდადებულათ შეასრულებს თავის უდიდეს ისტორიულ მისიას, გვწამს, რომ მუშათა დემოკრატია მთელი ქვეყნისა და მთელი კულტურული ქვეყნები ამ საკითხში ჩვენთან იქნება.

ამიტომ მხნეთ და ენერგიულათ მოუწოდებთ ჩვენ ხალხს: ფხიზლათ დემოკრატიულ რესპუბლიკის სადარაჯოზე! მტერი არსაიდან შემოგვეპაროს!

პრესა

„სახალხო საქმე" დათვურ სამსახურს უწევს თავის კლიენტებს.

როგორც ამბობენ, მათმა პოლიტიკურმა მეგობრებმა ურჩიეს ბ-ნ ამირეჯიბს პირველი წერილის დაწერა გაზეთში და შემდეგ, როცა ამით ზიანი მიაყენეს მასვე, შეუდგნენ მის დაცვას. მაგრამ ეს დაცვაც ისეთივე უკბილოა, როგორც თვით პირველი ნაბიჯი.

დაითხოვეს ამირეჯიბი?

აი რათ: 9 სექტემბერს მან თვითონ განუცხადა, როგორც გავიგეთ, იუსტიციის მინისტრს, პროკურორის თანადასწრებით, რომ შევიდა ბინაში სხვა გასაღებების შეწყობით, რომელიც მიუდგა კარებს. იმ ბინის ნამდვილი გასაღებები ამ დროს კომისარს ებარა. ცხადია ეს სხვა გასაღებები იყო შერჩეული. იუსტ. მინ. როგორც სჩანს ქაღალდებიდან, იმავე დღეს მისცა წინადადება ბინა დაეცალა და სასამართლოში მიქცეულიყო...

და ამავე დროს შეუთვლია პროკურორის პირით, თუ არ დასცლის ბინას, ეს ისეთი საქციელი იქნება, რომ გამოიწვევს ცუდ შედეგებსო.

ამირეჯიბმა ბინა არ დასცალა, ხოლო სასამართლოში წავიდა... სწორეთ ამით იუსტ. მინისტრი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და შეუძლებელი გახადა დროებით მისი განზრახვის სისრულეში მოყვანა, სასამართლოში საქმის დამთავრებამდე. რომ ბ-ნი ამირეჯიბი პრესაში არ გამოლაშქრებულიყო მთავრობის წინააღმდეგ ისეთი ყალბი ფაქტებით და ცნობებით, მას პასუხს მხოლოდ სასამართლოს დამთავრების შემდეგ მოსთხოვდენ. პრესის გამოლაშქრების შემდეგ სასამართლოს დამთავრებამდე ცდაც ზედმეტი იყო და იგი დათხოვნილ იქნა.

მაშ ასე: ამირეჯიბი შერჩეული გასაღებით შევიდა ბინაში. იუსტ. მინისტრის სათანადო რეპრესიას დროებით დაემალა სასამართლოში საქმის გადატანით. ხოლო ახლა სურს მთავრობის მსჯავრს გაექცეს პრესაში აურზაურის ატეხით. მაგრამ პრესა მას დათვურს სამსახურს უწევს.

* *

გაზეთ „მშაკის" უკანასკნელ ნომერში ყარსის დაცემის შესახებ შემდეგი სწერია:

„სომხობა სწუხს. ყარსი—სომხეთის ციხე დაეცა. იგი დაიკავეს მუსტაფა ქემალის ჯარებმა. დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, როგორ მოხდა ეს ამბავი, არ ვიცით მიზეზი ამისა, და არ ვიცით, რაც უმთავრესი საქმეა, ვინ არიან ამ უბედურობის მიზეზნი.

მაგრამ დღეს ამ საქმის გამოძიების დრო არ არის, პასუხისმგებლებს მერე მოვითხოვთ.

დღეს ჩვენ ვდგევართ ამ ფაქტის წინ და იბადება საკითხი: რა უნდა ვქნათ?

უბედურება დიდია, მაგრამ ყარსის დაკარგვა არ ნიშნავს ყველაფრის დაკარგვას, სომხეთის დაკარგვას. სომხეთის მტრებმა მის სხეულს ჭრილობა მიაყენეს, მაგრამ ეს ჭრილობა არ არის სასიკვდილო.

ჩვენი სახელმწიფოს გული ჯერ საღია, ეს გული ჩვენი ჯარია, ჩვენი ძალაა.

შევინახოთ, გავამაგროთ ეს ძალა. არ დავივიწყოთ, რომ დიდი ბრძოლა გვაქვს და მტერი არა თუ მარტო მოვიგერიოთ, არამედ უკუ ვაქციოთ კიდეც.

მოვიგონოთ დიდი მაგალითები: ბელგია და სერბია, რომლებიც დაპყრობილ იქმნენ მტრის მიერ, არ დაიკარგნენ, და შესძლეს თავის ჯარის შენახვა.

დიდ უბედურებებს თავიანთი ძლიერი გამხნევებელი გავლენაც აქვთ. შეიძლება ყარსი უნდა დაცემულიყო, რომ შეგვეგნო ჩვენი უბედურება და მისი საბაბები და შევვერთებულიყავით ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

იმედი არ დავკარგოთ. მოვიკრიბოთ ძალღონე და ვეკვეთოთ შეუპოვრათ მტერს და ვუჩვენოთ, თუ რა შეუძლია ერს, როცა იგი იცავს იარაღით თავის ქვეყანას და თავისუფლებას.

ჩვენი მტერი სისხლის მსმელია, მხეცი, ბარბაროსი.

ჩვენგან არის დამოკიდებული ჩვენი არსებობა და ველური ხალხისაგან თავის დაღწევა.

შორს ჩვენგან უიმედობავ!

გაუმარჯოს სამშობლოს!

ბრძოლისაკენ, თავისუფლებისკენ და თავდაცვისაკენ!

წმინდა საქმისთვის არაფრის დაზოგვა! ჩვენთან არის ჩვენი სამართლიანი უფლება!

მუშათა კრება

არც ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა არ არის ისე გაჭირვებული, როგორც მუშათა კლასი. არც ერთ ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას არ აკისრია იმდენი მოვალეობა, როგორც ჩვენ მუშათა კლასს.

ყველამ იცის თუ რა როლი ითამაშა მან რევოლიუციაში, მარა ყველამ არ იცის ის განუზომელი გასაჭირი, რომელსაც ასე ხმა-ამოუღებლივ იტანს. ის დღეს ფრონტზეა, ხვალ სახელოსნოში და ქარხანაში, ზეგ კიდევ ფრონტზე, იქიდან ისევ სამუშაოზე. მან არ იცის რაა მოსვენება, დამშვიდებული ცხოვრება, თავის პირად, ოჯახურ საქმეებზე ზრუნვა. ის ერთავად ჩაქსოვილია საზოგადო საქმეში, მითი ცხოვრობს, მით საზრდოობს, მისი ფიქრი და გონება მხოლოდ მის გარშემო ტრიალებს. მან იცის ჩვენი ქვეყნის გასაჭირი, იცის მისივე შექმნილი რესპუბლიკის მდგომარეობა, ამიტომაა, რომ ის ასე უსიტყვოთ იტანს ყოველივეს. როცა საჭიროა ფრონტზე წასვლა, ის იქ მიეშურება გამალებული და ერთხელაც არ მოიხედავს უკან, იმისთვის რომ შეიძლება მას არ აცვია და არ ახურავს, ისე როგორც მოხმარს. როცა ბრუნდება—ის მოდის სამუშაოზე და რომ შრომის ნაყოფიერება გაზარდოს, მზათაა რვა საათის მაგიერ ათი და კიდევ მეტი იმუშაოს. მხოლოდ უმაღლეს პოლიტიკურ შეგნებას, უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობას შეეძლო ჩვენი მუშათა კლასი აეწია თავის მოვალეობის ასრულების ამ სიმაღლეზე და ამიტომ სავსებით მართალი იყო ამხ. ნ. ჟორდანია, როცა მან ჩვენი მუშათა კლასის ეს ღირსება ასე ხაზგასმით აღნიშნა ერთ-ერთ საპასუხისმგებლო დიდ კრებაზე. აი დღესაც, ის მშიერია. აბა რა არის მუშისათვის ერთი გირვანქა პური! ზამთარი კარს მოგვადგა. თფილისის არე-მარე თოვლის ბუმბულით შეიმოსა. ცივი ზამთარი სახლებში შეიჭრა. ის კი უშეშოთ არის! მას ჯამაგირი არ ყოფნის. დანაკლისს ძველათ შეძენილი ნივთების გაყიდვით ივსებდა. დღეს ისიც გამოელია.

და აი ასეთ პირობებშიაც კი ის არ კარგავს სულიერ სიმშვიდეს, იმორჩილებს გაჭირვებიდან გამოწვეულ სულიერ განცდას და ერთხელაც არ ივიწყებს საერთო, საქვეყნო ინტერესებს.

და მართლაც, კრებაზე თქვენ ვერ გაიგონებდით ვერც ერთ ასეთ სიტყვას,

დღეს

დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია არაჩვეულებრივი სხდომა დამფუძნებელი კრებისა. განიხილავენ მთავრობის განცხადებას რესპუბლიკისათვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

მთავრობის დადგენილებით უქმდება საგენერალ-გუბერნატორო ყველა მისი შტატებით.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მთავრობის დადგენილებით ირლანდიას ავტონომია უნდა მიეცეს. ჩვენ უკიდურესი ზომებით შევებრძოლებით ირლანდიის ფლოტისა და ჯარის შექმნის საქმეს.

ჩიჩერინმა და რაკოვსკიმ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელს პროტესტი განუცხადეს რუმინიისათვის ბესარაბიის გადაცემის გამო.

გერმანიაში ამ ჟამად 600 ათასზე მეტი უმუშევარი იმყოფება.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა 370 ხმით წინააღმდეგ 83 ხმისა გადაწყვიტა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს.

მესოპოტამიაში ბოლშევიკების ცნობით რევოლიუციონური მოძრაობაა ინგლისის წინააღმდეგ.

საფრანგეთის ჯარები ზემო სილეზიის ოკუპაციას განაგრძობს.

ადრიანოპოლში ახალგაზრდა თურქთა შეთქმულება აღმოაჩინეს.

რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის საერთო ინტერესებს, ქვეყნის საერთო მდგომარეობას. ჩვენ ვიცით რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა—ამბობდენ ისინი; ჩვენ ისიც ვიცით თუ რას ნიშნავს ხელფასის გადიდება ბონების საშუალებით, ამიტომ ჩვენ არ ვითხოვთ ჯამაგირების გადიდებას. ჩვენ გვინდა მხოლოდ, თუ შესაძლებელია, პურის რაციონის გადიდება და ბინის საკითხის მოგვარება. ჩვენ ვიცით, რომ გლეხი პურს არ იძლევა—მიიღეთ ჩვენი ენერგია, ჩვენი დახმარება. ჩვენ ვიცით, რომ რესპუბლიკის პოლიტიკურ ცაზე ისევ ამოვარდა შავი ღრუბელი. ვინ იცის, იქნება საჭირო გახდეს საზღვრების დაცვა, ამისთვის კი საჭირო იქნება ზედმეტი პურის ხარჯვა—ჩვენ მზათ ვართ ნახევარი გირვანქაც ვიკმაროთ. ერთი სიტყვით, თუ რომ არის შესაძლებელი—გაჭირვება დიდია და საჭირო დახმარება და თუ ჩვენი დახმარება ზიანს მოუტანს რესპუბლიკას—დეე ნუ იქნებათ.

ამაზე მეტი მსხვერპლის გაღება განა შეიძლება კიდევ?! და რამდენათ უპატიოსნო უნდა იყოს ის ჯგუფები, რომლებიც დღეს არ გაუშვებენ ისე, რომ ჩვენი მუშათა კლასის რაღაც პრივილეგიებზე, მათ კარგ ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა ასეთებზე არ ჩამოაგდონ ლაპარაკი!

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ასეთ დიდ კრებაზე მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, რომელიც შეეცადა მუშათა კლასის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა ჩვენი წყობილების და ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოთ გამოეყენებია და აი უნდა გენახათ მთელი დარბაზის აღელვება! ამხ. კალანძემ მკაცრი პასუხი გასცა მედროვე ორატორს და განაცხადა: თუ ვინმე ფიქრობს დღევანდელი ჩვენი მდგომარეობაზე პარტიული კაპიტალის შეძენას, თუ ვინმეს გონია, რომ მუშების გაჭირვებას ის მისცემს მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებას—დეე სცადოს და მალე დარწმუნდება თუ რას ნიშნავს თფილისის სახელოსნოს მუშების რისხვა და რამდენათ ფუჭია მათი ასეთი ოცნება. დარბაზმა ტაში დაუკრა და მით გაიზიარა ორატორის შეხედულება და მით ერთხელ კიდევ დაანახვა ყველა ჩვენს მტრებს, რომ რაც უნდა გასაჭირში ჩავარდეს ჩვენი მუშათა კლასი, ის ერთხელაც არ გადაუხვევს იმ სწორ გზას, რომელიც მან ერთხელ აირჩია და რომელზედაც მან ამდენი გამარჯვება გვანახა. ეს კარგათ უნდა დაიხსომონ ყველა იმათმა, ვინც ლამობს დღევანდელი გაჭირვებით თავის პარტიული ცხადი თუ მალული ზრახვების განაღდებას.

ასე უყურებენ სახელოსნოს მუშები დღევანდელ მდგომარეობას, ასე იტანს ის თავის გასაჭირს. ის არ ქმნის არევ-დარევას გაჭირვების ნიადაგზე, ის არ ფიქრობს რაიმე მოუფიქრებელი და მიზანშეუწონელი ნაბიჯით გაართულოს ისედაც რთული მდგომარეობა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია სძლიოს უძლეველი, აიტანოს აუტანელი. მდგომარეობა ისეთია, რომ საჭიროა რესპუბლიკამ ყოველივე ზომები მიიღოს მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. საჭიროა სწრაფი და შესაძლებელი დახმარების გაწევა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სათანადო ორგანოები არ დააყოვნებენ შესაფერი დახმარების გაწევას.

განი.

საბჭოთა რუსეთში

მოსკოვის „ჩრეზვიჩაიკის" მოღვაწეობა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს მოსკოვის „ჩრეზვიჩაიკის" თავმჯდომარემ მესსინგმა „ჩრეზვიჩაიკის" მიმდინარე წლის პირველ ნახევრის მუშაობის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: იანვრიდან დაწყებული 15 აპრილამდე „ჩრეზვიჩაიკის" კონტრ-რევოლიუციის განყოფილება ბრძოლას აწარმოებდა ანარქისტების ბანდების წინააღმდეგ ბრიანსკში, ტულაში, ორიოლში და სამარაში. საზოგადოთ, ამ ხნის განმავლობაში განყოფილებას უხდებოდა ბრძოლა აქტიურ გამოსვლების წინააღმდეგ, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები აწყობდენ (ანარქისტები, მაქსიმალისტები, მემარჯვენე და მემარცხენე ესერები); ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საქმეთ შპიონთა ორგანიზაციის ლიკვიდაცია ითვლება. ამ ხნის განმავლობაში ალაგი ჰქონდა ბევრ დანაშაულობას სპეკულიაციისა და სხვ. მოქმედების სახით. განსაკუთრებით საინტერესოა „სუხარევკის" ქვეგანყოფილების მოქმედება: განყოფილებამ დააპატიმრა გამოურკვეველ პროფესიის პირები—1.629 მამაკაცი და 2.438 ქალი, გარდა ამისა დაიჭირეს 1.119 ბავშვი ვაჟები და 604 ქალი, რომლებიც გაიგზავნენ გამოსასწორებელ „კოლონიებში".

სულ სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაპატიმრებულ იქნა აღნიშნულ დროის განმავლობაში 17.424 კაცი; ამათგან განთავისუფლეს 11.344. აღმოჩენილ იქნა 5 დიდი კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია; დახვრეტილ იქნა 44 კაცი. გარდა ამისა დახვრიტეს კიდევ სხვადასხვა დანაშაულობისათვის, სულ 131 კაცი. მოათავსეს კონცენტრაციულ ბანაკში სხვადასხვა ვადით 1.401 კაცი...

ჩამოართვეს ფული სხვადასხვა პირებს: საკრედიტო ბილეთები—24.614 329 მ. 7 კაპ., ოქროს ფული—9 915 მ. 50 კ., ვერცხლის ფული—11.105 მან. 35 კაპ., სპილენძის ფული—309 ფუთი 25 გირვ. 74½ მისხ., ყალბი ფულები ჩამორთმეულია 2,146,414 მან, 65 კაპ., უცხოეთის ფული: საკრედიტო ბილეთები—1,133 ცალი, ოქროს ფული—141 ცალი, ვერცხლის—1,597 ცალი, მეტალის—1,178 ცალი. ჩამოართვეს აგრეთვე ძვირფასი ქვები—1,940 კარატი, ოქროს ნივთები—9 გირვ. 39½ მისხ., ვერცხლის ნივთები—39 ფუთი 25 გირვ. 74½ მისხ., უწონავათ ვერცხლი—587 ცალი. კონფისკაცია მოახდინეს აგრეთვე 16,714 არშინ ფართალისა (ბ-ქის „კომუნისტი" № 146).

გერმანელი მუშები რუსეთში. რიაზანის შემკეთებელი ქარხნები ინახულეს გერმანელ კომუნისტ-მუშების წარმომადგენლებმა. წარმომადგენლების განცხადების თანახმად ახლო ხანში რუსეთში ჩამოვა 20,000 გერმანელი მუშა სხვადასხვა სპეციალობისა. („კომ." 145).

ქართველი მუსულმანები და მისი დემოკრატია

I

ბათომის საკითხი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდენ დღემდე ჩვენი პოლიტიკოსები და დიპლომატები, დღეს უკვე საშინაო საკითხათ გადაიქცა. ამიტომ ბევრი ფიქრობს, რომ ამის გამო საგარეო საქმეთა სამინისტროს მოვალეობა, მისი სამუშაო იქ დასრულებულია. დღეს განთავისუფლებული სამუსლიმანო საქართველო პოლიტიკურათ ჯერ კიდევ სათუთია. გარდა ამისა არის ნაწილი მაჰმადიანი ქართველებისა, რომელთა ბედიც ჯერ გამოურკვეველია. უკანასკნელ ხანებში ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის დადებულ ხელშეკრულების გამო აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიის შორის მდებარე ზონაში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქნა. ზავის ძალით ოსმალეთმა უარი სთქვა ამ ალაგებზე, მაგრამ ქემალ-ფაშას მოძრაობა ამ ალაგებს დიდ ყურადღებას აქცევს. ამიტომ ამ გარემოებამ უნდა მიიპყროს დღეს საქართველოს საგარეო დიპლომატიის ყურადღება. ამას მოითხოვს აგრეთვე ის განწყობილება და ურთიერთობა, რომელიც ქემალ ფაშასა და ადერბეიჯან-საბჭოთა რუსეთს შორის არსებობს. ამით მე მინდა ვსთქვა, რომ საქართველოს საშინაო პოლიტიკას სამაჰმადიანო საქართველოში უნდა ახასიათებდეს მეტი ყურადღება, სიფრთხილე და წინდახედულება. მე საჭიროთ მიმაჩნია ამ საკითხის შესახებ მოვათავსო რამოდენიმე წერილი. რადგანაც მე იქ ხალხში ცოტა და ბევრი მიმუშავნია და ზოგიერთ საზოგადოებრივ საქმეებში პირდაპირ მონაწილეობას ვიღებდი, ამიტომ ბევრი წერილობით, თუ სიტყვიერათ მთხოვენ გავაცნო მათ ჩემი აზრი ზოგიერთ საკითხებზე. თუმცა მე გადაწყვეტილი მქონდა, რომ მეწარმოებია მხოლოდ კულტურული მუშაობა და პოლიტიკიდან თავს შორს ვიჭერდი, მაგრამ ახლა მე მინდა ვუპასუხო გაკვრით დაინტერესებულ პირებს. მე გამოვსთქვამ ჩემს შეხედულებებს შესაძლებლობის ფარგლებში და ვფიქრობ, რომ ამას ექნება ცოტა თუ ბევრი მნიშვნელობა.

ქართველ მუსულმანებში ორ დიდ რეალობას აქვს ალაგი. ეს არის ნაციონალური და სარწმუნოებრივი რეალობა. და ხალხიც ამ ორ რეალობის გავლენის ქვეშ არის. უფრო მეტი გავლენა ხალხში სარწმუნოებრივ გრძნობას აქვს.

ამასთანავე ეროვნულ რეალობის ელემენტები—ენა, ადათი, ხასიათი, გარეგნობა და ფიზიონომია მას საერთო აქვს ქართველებთან; აგრეთვე მისი საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრება ისეთივეა, როგორც ქართველების. ვერც ძველი თურქების საუკუნეობით არსებულმა იმპერიალისტურმა, ფეოდალურმა და სარწმუნოებრივმა მმართველობამ, ვერც რუსეთის ნახევარ საუკუნის იმპერიალისტურმა, დესპოტიურმა და ნაციონალისტურმა მმართველობამ ეს ეროვნულ რეალობის ელემენტები ვერ აღმოფხვრა. თურქების მმართველობის პოლიტიკა იყო—არა იყოს ქრისტიანობა, იყოს მხოლოთ მუსლიმანობა; ამ პოლიტიკით მან ხალხში ეკლესიისა და ცივილიზაციის ნაცვლათ, დაამკვიდრა მეჩეთის კულტურა და ამ რიგათ მოახდინა ძმებში სარწმუნოებრივი გათიშვა, დაშორება. რუსეთის მმართველობის პოლიტიკა კი იყო—არსებობს მუსლიმანობა, არ არსებობს ქართველობა; ამ გზით იგი, ვითომც მეჩეთის კულტურის დამცველი, ცდილობდა ეროვნულ რეალობის ელემენტების მოსპობას, მაგრამ თქმა იმისა, რომ ძველი ოსმალეთის იმპერიალისტური და სარწმუნოებრივი მმართველობა ქართველურ გრძნობას არ დაასუსტებდა,—სავსებით მართალი არ იქნება. იმ ხანებში ოსმალეთის მმართველობა პირდაპირ გათურქებას არ ისახავდა მიზნათ, მას მარტო გამუსლიმანება უნდოდა. მაგრამ იმავე დროს საქართველოში ფეოდალური წესები იყო; იგი დაყოფილი იყო სხვა და სხვა ნაწილებათ; ამიტომ ერთობა უფრო მეტათ ეკლესიის კულტურაში და ტრადიციაში იყო დარჩენილი; მაშინ ქართველობა, მისი „ძმობა" არა ეროვნულათ, არამედ უფრო მეტათ სარწმუნოებრივათ ისახებოდა. ამიტომ აჭარა-მესხეთს ეგონა, რომ როდესაც იგი სარწმუნოებას ჩამოსცილდებოდა,—ამასთანავე ჩამოსცილდებოდა თავის ეროვნულ „ძმობასაც". ამიტომ არის, რომ, როდესაც იგი ქართველი მუსლიმანი გახდა,—მან მუსლიმანობა მიიღო და „ქართველობა" დავიწყებას მისცა. თავის თავს მან „გურჯი" უწოდა, თავის ძმებს კი „ქართველი"; „ქართველიც" უწოდა მან ყველა ქრისტიან ერებს. აგრეთვე ქართველებმაც დაივიწყეს თავიანთ ძმების „ქართველობა". როდესაც ისინი გამაჰმადიანდენ, მათ სახავდენ „თათრებათ", მუსლიმანებათ, ხოლო არა „ქართველათ". ამრიგათ „ქართველობა", ეროვნული გრძნობა გამაჰმადიანებულ საქართველოში ზოგ ალაგს მისუსტდა, ზოგ ალაგს კი ცოცხალი დარჩა. მაგ: ლივანის რაიონის მურგულში, ბორჩხაში და მარადიდში ეროვნული გრძნობა ცოცხალია, ართვინში მისუსტებულია; არსიანის და მარჯაკალის მთებს შუა და ჭოროხის ხეობაში—შავშეთის სამხრეთ ნაწილებში ცოცხალია. ასეთივე მდგომარეობაა ერუშეთში და საერთოთ მესხეთში. მარჯიკალისა და გურიის მთებს შუა მდებარე აჭარაში და ნიგოითისა და გურიის მთებს შუა მდებარე გურიის გამაჰმადიანებულ ნაწილში—ქობულეთში ეროვნული გრძნობა მეტათ ცხოველია, იმდენათ, რომ ეს არის ნამდვილ „ქართველობის" მაჩვენებელი.

ამრიგათ, რუსეთის იმპერიალისტურსა და ნაციონალისტურ მმართველობასაც არ უნდოდა, რომ აჭარაში და მესხეთში ეროვნული რეალობა და მისი ელემენტები გაღვიძებულიყო. როდესაც საქართველოში ბურჟუაზია და დემოკრატია გაჩნდა,—მაშინ ქართველი ნაციონალისტები,—პატრიოტები და დემოკრატები სასტიკათ შეებრძოლენ რუსეთის ნაციონალისტურ და იმპერიალისტურ მმართველობას. ამის საპასუხოთ რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა თავისი დესპოტიური პოლიტიკა; მას არ უნდოდა სამაჰმადიანო საქართველოში ეროვნული გრძნობა განვითარებულიყო და ცდილობდა შეესუსტებია ქართველ ნაციონალისტების გავლენა. რუსეთის ამ მისწრაფებას აადვილებდა აჭარის ბურჟუაზიისა და დემოკრატიის სისუსტე. რუსეთის მთავრობა წინააღმდეგი იყო, რომ აჭარის ხალხი დარჩენილიყო იქ, როგორც მუსლიმანები, ისე როგორც წინააღმდეგი იყო მათი ქართველური შეგნებისა. რუსეთის იმპერიალისტურ ბატონობის გასამაგრებლათ და გასახანგრძლივებლათ კავკასიაში, მისთვის საჭირო იყო აჭარა-მესხეთი, სადაც არის ბათომი, არდაგან-ყარსი და მსგავსი ალაგები. აჭარა მესხეთში იყო ისეთი ხალხი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო თურქების და აგრეთვე ქართველების გავლენის ქვეშ; ეს კი დიდ საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთისათვის. ამან გამოიწვია რუსეთის გადასახლების პოლიტიკა; მან გადაასახლა რამოდენიმე ათასი მუსლიმანი ქართველები სხვაგან და მათ ალაგზე ჩამოასახლა სომხები, ბერძნები, მოლოკნები და სხვ. ომის დაწყების დროს აჭარის ხალხმა უკვე იცოდა მეფის მთავრობის გადაწყვეტილება—აჭარის ხალხის გადასახლება და მათ ალაგზე სხვების ჩამოსახლება. თუ თურქების სამი საუკუნის ბატონობის შემდეგ ხალხში ეროვნული გრძნობა მაინც გადარჩა, რუსეთის ბატონობა რომ კიდევ ნახევარი საუკუნე გაგრძელებულიყო, ქართველობის აღარაფერი დარჩებოდა აჭარაში.

ორივე მმართველობა ხალხის ზედა წრეებს ეყრდნობოდა; მათი ბატონობა ამტკიცებდა ამ წრეების უფლებებს და ისინი დემოკრატიის უფლების უარყოფით იკვებებოდენ. ამრიგათ ქართველ მუსლიმანების დემოკრატიისათვის განვითარებას, პროგრესის, წინსვლის კარები ყოველ მხრივ დაკეტილი იყო. ყველაზე უფრო უბედური და საცოდავი დემოკრატია მთელ კავკასიაში,—ეს სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატია იყო; იგი მოკლებული იყო სწავლა-განათლებას, დემოკრატიულ ორგანიზაციებს, საერთოდ, განათლებას.

აი, ასეთ ისტორიულ და მმართველობის პირობების გავლენის ქვეშ დარჩენილი მუსლიმანი ხალხი რუსეთის რევოლიუციის შემდეგ დიდ კრიზისში ჩავარდა; მას არ ეძლეოდენ საშუალებას წასულიყო. მას არ შეეძლო დამდგარიყო რევოლიუციით გაკვალულ გზაზე. იქაური ხალხის ზედა წრეები, რომელთა უფლებები რევოლიუციამ შელახა, და მის გარშემო მყოფი იმპერიალისტური მთავრობები ცდილობდენ დემოკრატია რევოლიუციის და მის ძმა დემოკრატიის მიერ მოპოვებულ გზიდან ჩამოეშორებინათ; მათ აიძულეს დემოკრატია მიხვეულ მოხვეულ გზით ევლო.

თამარ ხიმშიაშვილი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 4.

ფრანგული პრესა

ზარალის ანაზღაურების გარშემო.

(დასაწყისი არ მიგვიღია) ბერლინისათვის არაფერი გვეცნობება და არც მოთხოვნილი ციფრი შეგვიმცირებია. თუმცა გერმანია ამტკიცებს, რომ საფრანგეთი 845.000 სულ საქონელს თხოულობდა და ამ რიცხვიდან 517000 ძროხას, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ზარალის ამნაზღაურებელ კომისიას წარუდგინა მოთხოვნა 510000 სული საქონლისა, საიდანაც 400000 ძროხაა, ეხლა გერმანიის მთავრობამ ნიხრი შესცვალა. საფრანგეთის პროტესტის გამო ის თითქოს იძულებით დათმობის გზას ადგია გერმანიას არა აქვს უფლება განაცხადოს, რომ მისგან მოითხოვეს გადამეტებული რიცხვი ძროხებისა. მეტად საყურადღებოა ცნობები ნახშირის შესახებ. 1920 წლის პირველ შვიდ თვეში საფრანგეთმა დახარჯა 32 მილიონის ნახშირი, რაც ყოველ თვიურად 4 610.000 ტონს უდრის 1913 წელს კი ყოველთვიურად იხარჯება 6,163000 ტონი ნახშირი. ამგვარად 1920 წლის პირველ 7 თვეში საფრანგეთი იყო დაკმაყოფილებული. ნახშირით მხოლოდ 70%.

ლიონის ცნობები

საფრანგეთის წარმომადგენლები ერთა ლიგაში.

მინისტრთა საბჭომ აირჩია ლეონ ბურჟუა, ვივიანი და განოტი ერთა ლიგაში საფრანგეთის წარმომადგენლებათ.

რეფერენდუმი.

ნოემბრის 2 მოხდა რეფერენდუმი ბრიტანეთის მემაღაროებში მთავრობასა, მაღაროების მეპატრონეთა და მუშათა დელეგაციას შორის მომხდარ შეთანხმების გამო.

ვრანგელის საწინააღმდეგო თავდასხმა.

სამხრეთ რუსეთის ჯარზე ბოლშევიკების თავდასხმის გამო „ტანი" სწერს: გენერალ ვრანგელის ჯარი საფრთხეში არაა, თუმცა მან უნდა მოიგერიოს მტრის ძლიერი შემოტევა და დაიხიოს იქითკენ, საიდანაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მოდიოდა. მას, რასაკვირველია, შეუძლია დამარცხების თავიდან აცილება. მოელოდნენ, რომ მოსკოვის მთავრობა, როგორც კი ზავით შეეკვრებოდა პოლონეთს, თავის მთავარ ძალებს სამხრეთისაკენ გადმოიყვანდა. „ტანი" ეხება ბელორუსიასა და უკრაინაში ბოლშევიკების წინააღმდეგ მყოფ ძალების მნიშვნელობას და სწერს: რუსეთის ხალხმა შემოქმედებით უნდა გადასწყვიტოს კომუნისტურ წყობილების დამხობის საკითხი. რუსეთში უნდა შეიგნონ თავის მოვალეობა და 600,000 კომუნისტი, რომელთაც 100 მილიონი მოქალაქე დაიმონეს, უნდა გაანადგურონ როდესაც ისინი ამ საქმეს შეასრულებენ, მაშინ მოსკოვისკენ გზა გაიხსნება პატრიოტებისათვის, რომლებიდანაც შესდგება სამხრეთ რუსეთის მთავრობა. მანამდის კი გენერალმა ვრანგელმა თავი უნდა შეინახოს. ვრანგელი ისევ უნდა გადავიდეს თავდასხმაზე, მაშინ, როდესაც რუსეთის გამოფხიზლებული ხალხი საჭირო მოქმედებას დაიწყებს.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

რევოლიუციონური მოძრაობა.

მოსკოვი. 3 ნოემ. მესოპოტამიაში ინგლისის მონობის წინააღმდეგ ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა. ინგლისელები რევანდუზიდან გაიქცნენ მთელი იარაღი აჯანყებულებს დაუტოვეს. პეიხანჯაყიდან გამორეკეს ინგლისის ჯარი.

ჩიჩერინის და რაკოვსკის პროტესტი.

მოსკოვი. 3 ნოემ. საგ. საქ. კომ. ჩიჩერინმა და უკრაინის საგ. საქ. კომ. რაკოვსკიმ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელს პროტესტი განუცხადეს რუმინეთისათვის ბესარაბიის გადაცემის გამო. ეს საკითხი რუსეთისა და უკრაინის მონაწილეობით უნდა გადაწყვეტილიყო.

რუმინია და ბესარაბია.

ბერლინი. 3 ნოემ. რუმინიისა და ბესარაბიის შორის დადებული საზავო ხელშეკრულება გულისხმობს თათბირს რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით (გამოტოვებულია).

იაპონიის ჯავშნოსანი.

ვერხნეუდინსკი. 25 ოქტ. პეტროპავლოვსკში იაპონიის ჯავშნოსანი მოვიდა.

ვრანგელის დეზერტირები.

ვრანგელის ჯარის დეზერტირებმა ხელთ იგდეს ყირიმში ქ. სუდაკი და დახვრიტეს იქ მყოფი თეთრგვარდიელები.

უმუშევრები გერმანიაში.

გერმანიაში ამ ჟამად 60 ათასი უმუშევარი იმყოფება.

მოთხოვნილების უარყოფა.

საფრანგეთის მემაღაროეთა მეპატრონეებმა უარყვეს მუშათა მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ. მოელიან მუშათა გაფიცვებს.

რევოლიუციური შეთქმულება.

ესპანეთში აღმოაჩინეს რევოლიუციონური შეთქმულება.

მდგომარეობა ირლანდიაში.

რიგა 1 ნოემ. ირლანდიაში მდგომარეობა თანდათან მწვავდება. პოლიციელები დიდ სიმკაცრეს იჩენენ. პოლიციელები სცარცვავენ მცხოვრებთ. უკმაყოფილება იზრდება.

სომხეთის ფრონტი.

თფილისი 29 ოქტ. ოსმალთა ნაციონალისტები თავის ძალებს ერზერუმში აგროვებენ. აქ მოვიდა ქემალ ფაშის ბელადი, რომელიც საზღვრების ფრონტზე ოსმალთა მდგომარეობას უზრუნველყოფილად სთვლის. ოსმალები სომხეთისაკენ აპირებენ წასვლას.

მე-3 ინტერნაციონალის პირობების მიღება.

ნორვეგიის მუშათა პარტიის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მოსკოვის პირობები მესამე კომ. ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

თეთრგვარდიელთა ბანაკში.

კამენ-კაშირსკის დაკავების დროს თეთრგვარდიელების მიერ მოკლულია მრავალი ქალი. მოხუცი და ბავშვი. 70 წლიან მოხუცს გადაასხეს ნავთი და დაწვეს. ერთ ბინაზე შეკრიბეს ებრაელის 40 ქალი, რომელსაც აწამებდენ მთელი დღე. ასეთივე რბევა მოხდა კრევნში, ვოლინის გუბერნიაში. ბინაზე მორეკეს 30 ახალგაზრდა ქალი და წამების შემდეგ დახვრიტეს. ვრანგელმა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს დე-მარტელს განუცხადა, რომ ის იბრძოლებს ბოლომდე. ამაზე მარტელმა უპასუხა, რომ საფრანგეთმა მტკიცეთ გადასწყვიტა მორალურათ და მატერიალურათ დაეხმაროს რუსეთს.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 3 ნოემ. ყირიმის ფრონტზე ჩვენი ჯარი მტრის შევიწროებას განაგრძობს.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი და მე-3 ინტერნაციონალი.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა 370 ხმით წინააღმდეგ 83 ხმისა გადაწყვიტა შეუერთდეს მე 3 ინტერნაციონალს.

უარი სესხზე.

პოლონეთის ფინანსთა მინისტრის გრაბსკის გამგზავრება საფრანგეთში სესხის აღების მიზნით უნაყოფოდ დამთავრდა. გრაბსკი ფიქრობდა მიეყიდა საფრანგეთისათვის შაქარი და ნავთი, საფრანგეთის მევახშეებმა უთხრეს მას, რომ პოლონეთი აწარმოებს არა რაციონალურ ფულის პოლიტიკას და ამიტომ მას ფულის მიცემაზე უარი უთხრეს.

უმუშევრები.

ინგლისში 150 ათასზე მეტი გაშვებული ჯარისკაცია უსაქმოთ. მთავრობას უნდოდა, რომ ისინი აღმაშენებლობის საქმეში გამოეყენებია.

მაგრამ პროფ. კავშირები პროტესტს აცხადებენ და აღნიშნავენ, რომ უმუშევარნი მათაც ბევრი ჰყავთ. ლტოლვილები გაუმკლავდენ პოლონეთის ჯარის შეტევას. ლიტვის ჯარმა აიღო ისევ პოზელკა ვიტხელიშკი გენ. ჟელიგოვსკის ჯარი უკუგდებულია.

ამერიკა და ბესარაბიის საკითხი.

რიგა. 2 ნოემ. ამერიკის მთავრობამ ბესარაბიის რუმინელთან შეერთების გამო პროტესტი განაცხადა.

ზემო სილეზიის ოკუპაცია.

ნაუენი. 2 ნოემ. საფრანგეთის ახალშენების ჯარი ზემოსილეზიის ოკუპაციას განაგრძობს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

შეთქმულება.

ათინა ადრიანოპოლში ახალგაზრდა თურქთა შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულთა შორის არის ადრიანოპოლის ქალაქის თავი. ელინთა ჯარმა დიდძალი ხალხი დაპატიმრა.

გაფიცვა ბარცელონში.

ლისაბონი. ბარცელონში გაფიცვა საერთო ხასიათს ღებულობს. შესაძლებელია ტრამვაის მოძრაობის შეჩერება. ვაჭრობა დაცემულია. ქუჩებში ტალახია. მთავრობამ კატეგორიული უარი სთქვა ბარცელონში საალყო წესების გამოცხადებაზე. ბარცელონში გაფიცულებს ასოთ-ამწყობებიც შეუერთდა. გაზეთები არ გამოდის.

ავტონომია ირლანდიას.

ლონდონი. ლოიდ ჯორჯმა კარნარფონში განაცხადა: ირლანდიაში რათაც უნდა დაჯდეს, წესიერება უნდა აღდგენილ იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მხარე ანარქიის ცეცხლში გაეხვევა. ინგლისის მთავრობა ამას მალე წყვეტს, რათაც ეს უნდა დაუჯდეს. ამასთანავე მთავრობამ ირლანდიის ავტონომიის გამოცხადება დაადგინა. საერთოთ ირლანდია დიდ ბრიტანეთს აიძულებს მოეპყროს მას განსაკუთრებული სიფრთხილით.

ხელში ჩაგვივარდა 1918 წლის საბუთები ირლანდიელთა აჯანყების შესახებ. ირლანდია ბრიტანეთის წინააღმდეგ თავდასასხმელად დიდ შეთქმულებისათვის ემზადებოდა. მთავრობის სახელით ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: უკიდურესი ზომებით შევებრძოლები ირლანდიის ფლოტისა და არმიის შექმნის საქმეს.

კერზონის ნოტა.

ლონდონი. „დეილი მირორი" იუწყება: ლორდ კერზონმა მიმართა საბჭოთა მთავრობას ახალი ნოტით, რომელშიაც იგი მოითხოვს რუსეთისაგან საკმაო გარანტიებს იმისას, რომ ბოლშევიკების ხელში მყოფი ბრიტანეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლე დაცული იქნება. ამასთანავე ლორდ კერზონი მოითხოვს ბოლშევიკებისაგან აღმოსავლეთში პროპაგანდის შეწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რუსეთთან ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტით იმუქრება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **სოც. დემ. ფრაქციის საგანგებო სხდომა.** დღეს დილის 12 ს. დანიშნულია სოც. დემ. ფრაქციის საგანგებო სხდომა. ბიურო სთხოვს წევრებს აუცილებლად დაესწრონ სხდომას.

◆ **დამფუძნებელი კრების [illegible] სხდომა.** დღეს, [illegible] შნულია არა ჩვეულებრივი სხდომა დამფუძნებელი კრებისა. განხილულ იქნება მთავრობის განცხადება რესპუბლიკისათვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

◆ **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდებს და შრომის კომისრებს წინადადება მიეცათ სასწრაფოდ შეიტანონ მომარაგების ფონდში ყოველ მუშაზე და მოსამსახურეებზე სამი ათასი მან. ამასთანავე მიღებულია ზომები იმ წინანდელ ფულის მისაღებად, რომელიც მწარმოებლებს კიდევ არ აქვთ შეტანილი.

◆ **ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან.** ქალაქის მცხოვრებლებს შორის ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელებულია ხმები შესახებ იმისა, რომ სასურსათო განყოფილებამ დაბეჭდა შეშის საწყობები და რომ მისი, ან მისი აგენტების ნებადაურთველად საწყობიდან შეშის ყიდვა შეუძლებელიაო. განყოფილება იუწყება, რომ ასეთი ხმები სიმართლეს არ შეესაბამება. სასურსათო განყოფილება სთხოვს მცხოვრებთ ასეთ შემთხვევაში მიმართონ მილიციას და ან ვაჭრობის მეთვალყურის აგენტებს დახმარებისათვის.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრი** ნ. რამიშვილი და ბათომის საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი საგანგებო მონდობილობით ბათომს მიემგზავრებიან.

◆ **სურსათის მიწოდება მუშებისთვის.** მუშათა მაგიდამ მიიღო 4 ვაგონი კარტოფილი, რომელიც მოკლე ხანში მუშებსა და მოსამსახურეთა შორის განაწილდება.

— მაგიდა შეუდგა ხახვის 5 გირვანქობით დარიგებას. ეს ხახვი მუშათა მაგიდის ჯგუფებსა და საწყობებს მიეცემათ.

◆ **პური.** სასურსათო განყოფილებამ მიაქცია რა ყურადღება პურის ძლიერ გაძვირებას, გადასწყვიტა მოეწყოს მცხოვრებთათვის იაფ-ფასიანი პურის მიწოდება. იაფ-ფასიან პურის გაყიდვა პირველ რიგში მოეწყობა ქალაქის განაპირა უბნებში და მუშების „კვარტალებში".

◆ **ხორცი.** სასურსათო განყოფილება შეუდგა თავის მიერ შესყიდულ ხორცის მცხოვრებლებზე დადგენილ ნიხრით გაყიდვას. ქალაქის ხორცი ამხანაგობის „ხორცის" დუქნებში იყიდება.

◆ **კოოპერატიული სასადილოები.** ნოემბრის 1 შესდგა თათბირი კოოპერატიულ სასადილოების და რესტორანების გახსნის შესახებ. თათბირი მოწვეული იყო თფილისის კოოპერატივების ინიციატივით. თათბირმა მოიწონა კოოპერატიულ სასადილოების გახსნის აზრი. საკითხის დასამუშავებლათ არჩეულ იქნა კომისია.

◆ **„სახალხო გვარდიის სახლის კ. კაუცკის სახელობაზე" გახსნა.** სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის და საინჟინერო გუნდის კულტურულ განმანათლებელი სექცია შაბათს, 6 ნოემბერს ხსნის თეატრს „სახალხო გვარდიის სახლი კარლ კაუცკის სახელობაზე" გახსნის აღსანიშნავათ გაიმართება საღამო, სადაც ამხ. ვალიკო ჯუღელი წაიკითხავს მოხსენებას: „სახალხო გვარდიის მიზნები კულტურულ სფეროში". შემდეგ დაიდგმება ერთ მოქმედებიანი დრამა: „მაღაროს უფროსი მუშა" და ერთმოქმედებიანი კომედია „არივ-დარივ". პოეტები: გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, ვ. რუხაძე წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს.

◆ **ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დაიწყება ლექციების კითხვა. ამ დღეს ექნება სადღესასწაულო ელფერი, ლექციის დაწყების წინ წარმოთქმულ იქნება სიტყვები: ავლაბრის რაიონის კულტურულ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ევალებათ გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები და მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის გახსნაში. ლექციების კითხვა დანიშნულია კვირაში ერთხელ ქართულ და სომხურ ენაზე, თუ მსმენელები იქნება გამგეობა მოაწყობს ლექციების კითხვას რუსულ ენაზედაც.

◆ **რკინისგზელთა მესამე ყრილობა.** რკინისგზელთა ცენტრალურმა გამგეობამ 2 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა: რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მორიგი მესამე ყრილობა მოწვეულ იქნას 1-ელ დეკემბერს.

◆ **სახელმწიფო ოპერა.** 5 ნოემბერს ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა, 6 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის—ევგენი ონეგინი, 7 ნოემბერს მანონი.

◆ **დამფუძ. კრების თავმჯდომარის** უფროსმა ამხანაგმა ა. ლომთათიძემ დეპეშით დაუგზავნა სამაზრო ერობების თავმჯდომარეებს, რომ მათ სასწრაფოდ გადასცენ დამფუძნებელი კრების წევრთ, რათა ისინი ნოემბრის 5 ის საგანგებო სხდომაზე ჩამოვიდნენ.

◆ **შეცდომის გასწორება.** „ერთობის" № 246 „დამოუკიდებელთა პარტია: (ვ. გვარჯალაძის წერილი) დაბეჭდილია: „და ბოლოს პარტია გაიყო ორ ნაწილად, და ამნაირათ პარტიის მეორე ნაწილის გვერდით წარმოიშვა დამოუკიდებელთა პარტია, რომელსაც მეუმრავლესეებს ან შეიდემანის მიმდევრებს უწოდებენ". უნდა ყოფილიყო: და ბოლოს პარტია გაიყო ორ ნაწილათ და ამნაირათ პარტიის ერთ ნაწილის გვერდით, რომელსაც მეუმრავლესეებს, ან შეიდემანის მომხრეებს უწოდებენ, წარმოიშვა დამოუკიდებელთა პარტია.

კრებები.

დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება მეოთხე რაიონის ს. დ. ქალთა ორგანიზაციის წევრთა კრება. მიმდინარე კით

ვებზე მოხსენებას გააკეთებს მინადორა ტოროშელიძე.

— დღეს, საღ. 7 საათ. შესდგება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის პარტიის წევრთა საერთო კრება. დასწრება აუცილებელია.

კვირას, 7 ნოემბერს დილის 10 საათზე (ახალი დროთი) ნაძალადევის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში დანიშნულია მშობელთა წლიური საზოგადო კრება ახალი წრის საბჭოს კომიტეტის ასარჩევათ და სხვ. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი მშობელიც უნდა დაესწროს, ვინაიდან მეორეთაა დანიშნული. ვთხოვთ მშობლებს მობრძანდნენ.

— 5 ნოემბერს, დილის 10 ს. კავშირის ბინაზე არის დანიშნული საზოგადო კრება კლუბების და რესტორანების მოსამსახურეთა. დღის წეს-რიგში არის: კლუბების და რესტორნების დაკეტვა. წევრების დასწრება სავალდებულოა.

მთავრობაში.

ოქტომბრის 28 სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებისა გააუქმონ საგენერალგუბერნატორო ყველა მისი შტატებით.

გადადებულ იქნას საოპერაციო თანხიდან 5 მლ. მ.ნ. რკინისგზის მოსამსახურეთათვის საჭირო შეშის დასამზადებლად იმ პირობით, რომ ეს თანხა დაუბრუნდეს მას უკანვე 2 თვის განმავლობაში.

— ინჟინერ წულუკიძის მიერ შედგენილი იმ მოხსენების მოსმენის შემდეგ, რომელიც ტყვიბულის ქვა ნახშირის გაუმჯობესებულ დამუშავებას შეეხება, მთავრობამ დაადგინა: დამტკიცდეს მოხსენება იმ შესწორებით, შეტანით, რომ ქვანახშირის ახალ მანქანებით დამუშავებამ არ უნდა მოახდინოს გავლენა გასაცემ პროცენტებზე ამასთანავე დადგენილია ეძლოს ინჟ. წულუკიძეს პრემია 10 წლის განმავლობაში.

ტელეფონ-ტელეგრაფის მოწყობა

ყველა საერობო დაწესებულებებს და ადგილობრივ ადმინისტრატიულ ხელთუფლებას. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტების ერთი მეორესთან დასაახლოვებლად ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზების ასაგებათ და მოსაწესრიგებლად ჩემის განკარგულებით იგზავნება შინაგან და სამხედრო მინისტრთა რწმუნებული ტელეგრაფ-ტელეფონის საქმეთა შესახებ მთავარი მექანიკოსი ბ. სურგულაძე, რისთვისაც გავალებ ყველა ადგილობრივ საერობო დაწესებულებებს და ადმინისტრატიულ ხელთუფლებს აღმოუჩინონ მას საჭირო დახმარება ამ საქმეში და შეძლებინონ მუშაობის სასურველ დონეზე წარმოება.

შინაგან საქმეთა მინისტრი
ნ. რამიშვილი.

ყველა ადგილობრივ სახალხო გვარდიის შტაბთა გამგეობებს.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა და სხვა მნიშვნელოვან პუნქტებს შორის ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზების ასაგებათ და მოსაწესრიგებლად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით იგზავნება სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროების რწმუნებული ტელეგრაფ ტელეფონის საქმეთა შესახებ მთავარი მექანიკოსი ბ. სურგულაძე, რისთვისაც ვთხოვ ყველა ადგილობრივ გვარდიის შტაბებს აღმოუჩინონ მას საჭირო დახმარება ამ საქმეში და შეძლებინონ მუშაობის სასურველ დონეზე წარმოება.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე **ვ. ჯუღელი.**

„წითელ" აზერბეიჯანში

ოსმალეთის თავდასხმა და „აღმოსავლეთის მოქმედების საბჭო".

აღმოსავლეთის „მოქმედებისა და პროპაგანდის საბჭოს" პრეზიდიუმის წევრმა პავლოვიჩმა „ბაკინსკი რაბოჩის" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ოსმალეთის თავდასხმას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება მიუხედავათ იმისა, გამარჯვებით დამთავრდება ის, თუ დამარცხებით. პავლოვიჩი ადარებს სომხეთისა და პოლონეთის ფრონტებს და ამბობს, რომ მხოლოდ სამხედრო ძალის საშუალებით შეიძლება ვაიძულოთ სომხები — დაშნაკელები ზავი შეკრან ოსმალეთთან; პავლოვიჩის აზრით, „სომხეთმა ინგლის-საფრანგეთისა და ვენიზელოსის ბანდების საშუალებით განიზრახა მცირე აზიის ნახევარ ნაწილის ანექსია მოახდინოს", ოსმალეთის თავდასხმით სომხები მიხვდებიან, რომ ჯერ კიდევ ადრეა მოყვრულ დათვის ტყავის დანაწილებაზე ზრუნვა. კითხვაზე, თუ როგორ მოეღება ბოლო კონფლიქტებს და სისხლის ღვრას ოსმალეთ-სომხეთს შორის და აგრეთვე საქართველოს ინტრიგებს კავკასიაში და მის მიერ ბანდების გაგზავნას დაღესტანის და საერთოდ კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების დასახმარებლათ,— პავლოვიჩმა განაცხადა: საქართველოს ინტრიგებს ბოლო მაშინ მოეღება, როდესაც მას გამოეცლება ყველა ქონება და ღირებულებანი, რაც მას ჩვენმა კავკასიის ჯარმა და დენიკინის ჯარმა დაუტოვა საქართველოდან გასვლის შემდეგ. მაშინ საქართველოს არ ექნება იმის შესაძლებლობაც კი, რომ დამხმარე ბანდები გაუგზავნოს ალიხანოვსა და გოცინსკის ბრბოებს დაღესტანში. „საზოგადოთ კი ერთად ერთი საშუალება მცირე აზიაში და კავკასიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად არის ფედერატიულად შეკავშირება ოსმალეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის და კავშირის სახელმწიფოებისა, რაც მიღწეული იქნება ამ ქვეყნების მშრომელთა მასსების გაერთიანებულ ძალ ღონით"-ო, ათავებს პავლოვიჩი. („კომუნისტი", № 145).

სოფელი და კომუნისტური პარტია. აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის ბაქოს ორგანიზაციამ სასურსათო საკითხის გამო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია გამოიტანა: არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სოფელი ჩვენ ვერ დავიპყარით. წითელ არმიელის „შტიკით" არ შეიძლება სოფლის დამორჩილება პროლეტარიატის გეგემონიისთვის. დასაყრდენობი წერტილი თვით სოფელში უნდა მოვიპოვოთ. „სრედნიაკებზე" ჩვენ ვერ დავეყრდნობით: ეს ნაწილი გლეხობისა მეტად ინდიფერენტულია და მას ყოველ წუთში შეუძლია ზურგი შემოგვაქციოს. სოფლებში უნდა შევქმნათ „ღატაკთა კომიტეტები". ამიტომ მთავარი ჩვენი მიზანი ამ ჟამად ის არის, რომ სოფელში მოვახდინოთ მცხოვრებთა დიფერენციაცია... გლეხებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ პური ჩვენ მისგან მიგვაქვს სესხათ, რომ უზრუნველ ვყოთ ქალაქის მუშები, რომლებიც იმავე სოფლისათვის ამზადებს საჭირო საქონელს.

უცხოეთი

ინგლისი.

სიძვირე ინგლისში. ინგლისის სასურსათო საქმის კონტროლიორი მაკ-კურდი თავის უკანასკნელ ოფიციალურ მოხსენებაში ფასების ზრდისა და ცხოვრების გაძვირების შესახებ, აცხადებს, რომ მომავალ წლისთვის კიდევ უნდა ველოდეთ ფასების გაზრდას სურსათ-სანოვაგეზე, რაც საშუალო შემძლე მუშის ოჯახისათვის ცხოვრებას 3 შილინგითა და 10 პენსით გააძვირებს კვირაში. შემოტანილი ხორცი და ჩაი, უნდა ვიფიქროთ, უფრო იაფი იქნება, ვიდრე ერთი წლის წინათ; მაგრამ დანარჩენი სურსათ-სანოვაგე გაცილებით უფრო ძვირი იქნება, ვინემ წინათ. 1904 წელს ერთი მუშის საშუალო ხარჯები შრომის სამინისტროს ცნობით უდრიდა 1 გირვ. სტერლ., 2 შილინგს და 6 პენსს; იღებდა კი კვირეულად 36 შილ. და 10 პენსს. ომის პირველ ხანებში 1914 წელს იგივე ხარჯები უდრიდა 1 გირ. სტ. 5 შილ. 8 პენსს. 1919 წლის საშემოდგომოდ ხარჯები თითქმის სამჯერ გაიზარდა, ე. ი. უდრიდა 3 გირ. სტერლინგს. მიმდინარე წლის შობისთვის კიდევ გაიზრდება 3 გირვ. და 10 შილინგამდე. თვითეულ საგნის სიძვირის შესახებ შემდეგი ცნობებია: ადგილობრივი ხორცი არ ძვირდება ცხვრის ხორცის გარდა. ცოტათი გაძვირდება ქონი, ვინაიდან ამერიკაში ამ საქონელზე მტკიცე ფასებია, ხოლო ინგლისის ვალიუტის კურსი ცოტათი დაეცა. ასევე გაიზრდება ფასები კარაქზედაც. დაბალ ღირსების ჩაი იაფია. არ უნდა ველოდეთ აგრეთვე შაქრის გაიაფებას ახლო მომავალში; მაგრამ ბევრი არის მუქი შაქარი, რომელიც გაცილებით იაფია თეთრ შაქართან შედარებით. კარტოფილის მოსავალს კარგი პირი უჩანს: ამის გამო ეს საქონელი წელს უფრო იაფი იქნება, ვიდრე გასულ ზამთარში. საერთოდ, თუ ომამდე არსებულ ფასებს 100 ათ ჩავთვლით,— ცნობილი ფასები იქნება, 267, ე. ი. ცხოვრება 167%-ით გაძვირდა. თუ სასურსათო საგნების ფასებს 1918 წლის 1 ელ დეკემბრისთვის 100-ით ჩავთვლით,—1919 და 1920 წლის პირველ სექტემბრისთვის შემდეგ ცხრილს მივიღებთ: **1919 წლისთვის:** ადგილობრივი ხორცი—90, მოტანილი—75, ქონი 105, თევზი—81, ფქვილი—100, პური 103, ჩაი—96, შაქარი—100, რძე—89, ქართოფილი—166, მარგარინი—108, შემოტანილი კარაქი—101 ყველი—20, კვერცხი—86; **1920 წლისთვის:** ადგ. ხორცი—121, შემოტანილი—79, ქონი—120, თევზი—78, ფქვილი—145, პური—144, ჩაი—106, შაქარი—206, რძე—93, ქართოფილი—165, მარგარინი —111, შემოტანილი კარაქი 120, ყველი—104, კვერცხი—90.

შემდეგ მაკ-კურდი ადარებს ინგლისში არსებულ ფასებს სხვა ქვეყნების ფასებთან. თუ 1914 წლის ივლისისათვის ფასების საშუალო ციფრათ ავიღებთ 100-ს —სხვა-დასხვა ქვეყნებისათვის 1920 წლის ივლისისათვის მივიღებთ შემდეგ ცხრილს: ინგლისი—258, საფრანგეთი (პარიზი)—373, იტალია (რომი)—318, შეერთებული შტატები—215, შვეცია—297.

მეორე ცხრილში სასურსათო საქმის კონტროლიორი აღნიშნავს, რომ სხვა პირველ საჭიროების საგნების ფასებმა, გარდა სასურსათო საგნებისა, მიმდინარე წლის გაზაფხულს უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამ ხნიდან მოკიდებული საქსოვ მრეწველობის საგნებზე ფასები საზოგადოთ ეცემა და, გარდა მინერალებისა, რაზედაც ფასი თანდათან მატულობდა, შეგვიძლია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ დროიდან ბითუმათ გაყიდულ სასურსათო საგნების ფასებიც მტკიცე იყო, ან ეცემოდა კიდეც. მაგრამ საბაზრო ფასები ამ საგნებზე თანდათან იზრდებოდა. შრომის სამინისტროს გამოანგარიშებით, საშუალო ქონების მუშის ხარჯების გაზრდა 1919 წლის ოქტომბრიდან 8 შილინგით აიხსნება ფქვილის, შაქრისა და კარაქის გაძვირებით. ვინაიდან საშუალო ევროპაში პურის დიდი ნაკლებობაა, ამიტომ პურის გაიაფებას ახლო მომავალში არ უნდა ველოდეთ.

(„დეილი ჰერალდი", 25 სექტ.)

იტალია.

ლითონზე მომუშავენი და ხაზეინები. გაზ. „მატენი" შემდეგ ცნობებს აქვეყნებს ლითონზე მომუშავეთა და ხაზეინებს შორის მიღწეულ შეთანხმების შესახებ; შეთანხმება შესაძლებელი გახდა ჯიოლიტის მთავრობის საქმეში ენერგიულად ჩარევის შემდეგ. შეთანხმების მთავარი პუნქტები შემდეგია: მუშებმა დაუყოვნებლივ უნდა დასცალონ მათ მიერ დაკავებული საწარმოო დაწესებულებები, რომლებიც თავის ძველ პატრონების ხელში გადადის. თავის მხრივ ხაზეინები აკმაყოფილებენ მუშათა მოთხოვნილებას 15 ივლისიდან ჯამაგირების მომატების შესახებ.

ამასთანავე ისინი უხდიან მუშებს ხელფასს ლოკაუტის დროს. მეორე მხრივ მუშები ვერ მიიღებენ ჯამაგირებს იმ ხნის განმავლობაში, როდესაც საწარმოო დაწესებულებები მათ გამგებლობაში იყო: ამ ხნის სამუშაო ქირა მიდის წარმოებელთა ხარჯების დასაფარავათ.

მოლაპარაკების დროს ყველაზე უფრო დიდი დაბრკოლება იყო მწარმოებლების მოთხოვნილება ფაბრიკებიდან ზოგიერთ ანარქისტულ ელემენტების დათხოვის შესახებ. ჯიოლიტის ჩარევით და ძალდატანებით ხაზეინებმა უარი სთქვეს იმ მოთხოვნილებაზე. ზოგიერთი სადაო საკითხები განსახილველად გადაეცა პარიტეტულ კომისიას. განსაკუთრებულ დეკრეტის ძალით პარიტეტულ კომისიას არაჩვეულებრივი უფლებები მიეცა.

იტალიის სახალხო პარტია და კომუნიზმი. იტალიის გავლენიანმა სახალხო (კათოლიკური) პარტიამ მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ იტალიის ხალხის უმრავლესობა წინააღმდეგია კომუნიზმის; მეორე მხრივ მანიფესტი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია შემდეგში ინდივიდუალისტურ მეურნეობის ბატონობა, რომელიც დაქირავებულ შრომის პრინციპზე ემყარება. „ჟურნალ და იტალია" ათავსებს ცნობას, იმის შესახებ, თუ „რა მოიგო იტალიამ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების დაჭერით".

1) იტალიამ გაგზავნა რუსეთში 4000 რუსი ტყვე ნაცვლათ 303 იტალიელ ტყვისა. იტალიელი ტყვეები საშინელ სანახავი იყვნენ: ნახევრათ ცოცხლები, მშივრები და ძონძებში გამოწყობილნი. რუსი ტყვეები გაგზავნილ იქნენ ახალ ტანისამოსში გამოწყობილნი, ორ-ორ წყვილ ჩექმებით: ეს ფეხსაცმელები რუსებმა გაჰყიდეს რუსეთში ჩასვლისთანავე — წყვილი 20—30 ათას მანეთად.

2) იტალიის გემი, რომელსაც რუსი ტყვეები მიჰყავდა, წააწყდა ბოლშევიკების ნაღმს: კატასტროფის დროს დაიღუპა 6 იტალიელი მატროსი.

3) იტალიამ გაუგზავნა რუსეთს მედიკამენტები, ფართალი და მანქანები. სამაგიეროთ რუსეთიდან მიიღო ერთი ტრანსპორტი გაფუჭებულ, დაობებულ ხორბლით, რომელშიაც ლურსმნები, მავთულები და ნეხვი ერია.

შეერთებული შტატები.

საარჩევნო უფლება ქალებს. შეერთებულ შტატებში ამ ჟამათ ყველგან ქალები სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით. ამრიგათ მახლობელ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა სრულწლოვანი ამერიკელები. მათი რიცხვი 25 მილიონს უდრის. 1916 წელს არჩევნებში ხმა მისცა 18,500,000 ამრჩეველმა მათ შორის 2 500,000 ქალმა. ფედერაციულ კონსტიტუციაში შესწორების შეტანის შემდეგ საარჩევნო უფლება ენიჭება კიდევ 6,500,000 ქალს; ასე რომ 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 9 მილიონი ქალი ამრჩეველი. „მატენის" აზრით ეს გარემოება არავითარ გავლენას არ მოახდენს არჩევნების შედეგებზე. წინათ ქალები განიყოფოდენ სუფრაჟისტკებათ და არასუფრაჟისტკებათ, ეხლა ერთი ნაწილი მხარს უჭერს დემოკრატებს და მეორე რესპუბლიკელებს. მათი პოლიტიკური სიმპატიები განისაზღვრება იმავე პოლიტიკო ეკონომიურ პირობებით, რომლითაც მამაკაც-ამრჩევლების.

ფინანსთა სამინისტროში

როშასა და კუშნარის მაუდის ქარხნის მეპატრონეთა განცხადება შესახებ იმისა, თუ რა პირობებში შეუძლია ამ ქარხანას მუშაობა — ფინანსთა სამინისტროს წარედგინა განსახილველად. ქარხნის მეპატრონეები ამ პირობის ძალით მოითხოვენ მათთვის ნართაულის გადაცემას და სამაგიეროთ თავს ვალდებულად იხდიან 6 თვის განმავლობაში მოიტანონ ინგლისიდან საქსოვი მანქანები, რის უზრუნველსაყოფათაც შესაფერი საწინდარიც შეაქვთ, ქარხნის მეპატრონეს წილში შეჰყავთ მთავრობა. ქარხნის მეპატრონენი თანახმანი არიან ასეთ პირობებში გადასცენ მთავრობას ქარხნები და ან მისი ნებართვით ბაზარზე გამოიტანონ საქონელი. ეს პირობები მიწად მოქმედების და მომარაგების სამინისტროებმა განიხილეს და დაადგინეს, განიხილონ ის იმის შემდეგ, რაც რომ დარწმუნდებიან ქარხნების კარგად მოწყობილებაში და მისგან გამოშვებულ საქონლის სიკარგეში. ნოემბრის 1 მომარაგების მინისტრმა, ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა და სხვა პირებმა დაათვალიერეს საქსოვი ქარხანა. ქარხნების დათვალიერებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. (სდს).

კანონ-პროექტი საერობო თვითმართვ. შესახებ.

ერობათა კავშირის კომიტეტმა დაამუშავა კანონ-პროექტი საქართველოში არსებულ საერობო თვითმართველობათა შესახებ. კანონ პროექტი 48 მუხლისაგან შესდგება. თანახმად კანონ-პროექტის მეორე მუხლისა, ადგილობრივ თვითმართველობას ორი საფეხური აქვს: პირველი საფეხური არის წვრილი საერობო ერთეული (თემი), მეორე —სამაზრო ერობა, ტერიტორიალური საზღვრები, რომელშიაც ანხორციელებენ საერობო დაწესებულებანი თავის უფლებას და მოვალეობას, მყარდება და იცვლება რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ცალკე თემი იქნება საზღვრებში, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული მეურნეობის მხრით. სივრცით თემის საზღვრები ისე უნდა იყვეს განსაზღვრული, რომ რაიონის სიდიდემ არ უნდა შეუშალოს ხელი თემის მოქალაქეს იქონის მუდმივი კავშირი მის (თემის) მმართველობის ორგანოებთან. ამასთანავე უნდა დაცულ იქნეს შეძლებისამებრ ყოფილ სოფლის საზოგადოებების საზღვრები. სამაზრო ერობა ეწყობა ისეთ საზღვრებში, რომელიც ერთგვაროვან ეკონომიურ მთლიანობით ხასიათდება. მე 18 მუხლის შენიშვნით თბილისში არსდება ცალკე დამოუკიდებელი სამაზრო ერთეული სამაზრო ერობის უფლებებით. ჯერ-ჯერობით ადმინისტრატიულ გადამიჯვნამდე საქართველო 21 მაზრათ იყოფა. უფლებას და ვალდებულების მატარებლად ადგილობრივ თვითმართველობას მიმართ ითვლება სამაზრო ერთეულის ყველა მცხოვრები. სამაზრო დაწესებულებანი თავის ტერიტორიის საზღვრებში განაგებენ საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმეებს და ანხორციელებენ ადგილობრივ მმართველობას. გარდა ამისა საერობო დაწესებულებებს ევალებათ ფოსტა-ტელეგრაფის შენობების აგება, ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ, ადგილობრივ მიმოსვლის მოწყობა, სასურსათო საქმის მოწყობა და სურსათ-სანოვაგის მიწოდება მცხოვრებთათვის ფართო მასშტაბში, შრომის დაცვა, თვალყურის დევნება ვაჭრობა და მრეწველობაზე, ქონებრივ სიმდიდრის დაცვა, ხელოვნების ძეგლების დაცვა და სხვა. თანახმად 21 მუხლისა თემს ყავს საბჭო და თემის თანაშემწეები, ამასთანავე თანაშემწე ირჩევა იმდენი, რამდენი სოფელიც შედის თემში. საბჭო ირჩევა საერთო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით და პროპორციონალურ წარმომადგენლობით. თემის თავი უშუალოდ განაგებს მილიციას თემის რაიონში, აწყენს მცხოვრებთა რეგისტრაციას და სხვა. სამაზრო ერობას ყავს საერობო ყრილობა და გამგეობა. საერობო ყრილობას თავმჯდომარეობს პირი, რომელიც ერობის ხმოსნების წრისაგან იქნება არჩეული. თავმჯდომარეს ირჩევენ ერთი წლით. საერობო ყრილობას აქვს უფლება გამოსცეს სავალდებულო დადგენილება. ადგილობრივი თვითმართველობა მთლიანია. ადგილობრივ თვითმართველობათა ყველა მოქმედებას თვალყურს ადევნებს საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობა. (სდს).

ქვა-ნახშირი

(ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საექსპლუატაციოდ იტალიისადმი გადაცემისა გამო).

ქვა-ნახშირი კულტურის წინწამწევი ერთი ძლიერი ფაქტორთაგანია.

ეს დიდი ხანია იგრძნო კაცობრიობამ და კიდეც შეუდგა მისს გამოყენებას. საბერძნეთში ჯერ კიდევ მეხამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე მჭედლები ხმარობდენ „მიწიდან ამოღებულ ნახშირს". ცნობილი იყო იგი აგრეთვე რომაელების მიერ. ხოლო ინგლისში 1272 წელს დაიწყეს ნიუ კესტლის მაღაროებში რეგულიარული მუშაობა და ქვა-ნახშირის ამ ღება. უკვე რამოდენიმე საუკუნეა ტეხნიკის განვითარებასთან ერთად ქვა ნახშირი იქცა იმ ძლიერ ძალად, რომელზედაც დამოკიდებულია სახელმწიფოთა ბედ იღბალი. ვისაც ქვანახშირი მოეპოვება, მას შეუძლია განავითაროს თავისი ინდუსტრია, შექმნას ღირებულებანი და ამისდაკვალობაზე დაიკავოს ესა თუ ის ადგილი მსოფლიოში. ამას თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს ციფრები.

1900 წელს საერთოდ ამოღებით 46.862.000 000 ფუთი ქვანახშირი. აქედან ინგლისს ამოუღია—13.954.490.000 ფ., შეერთ. შტატებს—14.939 012 000 ფ., გერმანიას—9 137.083.000 ფ. ავსტრია-უნგრეთს—2.380.813 000 ფ., საფრანგეთს—2.037.628.000 ფ., ბელგიას—1.431 232.000 ფ. რუსეთს—986.327.000 ფუთი.

და მართლაც ამერიკა-ევროპას არ უკავია პირველი ადგილი და იგი არ არის წინ მორბედი კულტურა-პროგრესისა? მაგრამ სანამდის? ულეველი ხომ არ არის რა და ხომ შეიძლება ქვანახშირიც გამოილიოს?

ამ საკითხის გამოსარკვევად შეიქმნა საგანგებო კომისიები, რომელთაც უნდა გამოეკვლიათ რაოდენობა მიწაში მოქცეულ ქვა-ნახშირისა. დასკვნა მათი ამნაირი იყო: ქვა-ნახშირი გამოილევა ჯერ ავსტრიაში, შემდეგ საფრანგეთსა და ბელგიაში; ინგლისს ეყოფა კიდევ 500 წლისთვის; გერმანიას—800—1000 წ.; ხოლო თუ ქვანახშირის მოხმარებამ იმატა დღევანდელი პროგრესით, მაშინ დასავლეთ ევროპას ეყოფა იგი მხოლოდ 650—670 წლისთვის. (იხ. „Dictionnaire universel des sciences, des lettres et des Arts" Bouillet ასე გვ. 790).

შეუშინდა ევროპა ამ წინასწართქმულს და მართლაც შეამოკლა თავისი წარმოება? ამის პასუხს ისევ ციფრები გვაძლევს.

ა. წ. მარტის 28 დან აპრილის 3-მდე ინგლისს ამოუღია 238 784 820 ფუთი ქვანახშირი; წინა კვირაში კი 292.751.520 ფუთი. მაშასადამე საშუალოდ წელს ამოიღებს 14.100.000 000 ფუთ; ესე იგი, თითქმის 150.000 000 ფუთით მეტს, ვიდრე 1900 წელს.

საფრანგეთმა 1913 წ. ამოიღო 2.460.000.000 ფუთი ქვანახშირი; ესე იგი, 423 000.000 ფუთი მეტი, ვიდრე 1900 წ. ხოლო დახარჯა იმავე 1913 წ. 3 840 000.000 ფუთი.

ამნაირი პროგრესით იზრდება ხმარება ქვანახშირისა ამერიკა ევროპაში და ამიტომაცაა, რომ იგი განაგებს კიდეც მსოფლიოს ბედს და თუ არ ეშინია თვისი ნიადაგის გამოფიტვის, იმ იმედით, რომ ჰეგემონია მისი უზრუნველყოფილია და რომ უკულტურო ერებით დასახლებული ქვეყნები მათივე ექსპლოატაციის საგანია.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება.

დღეშემამ გვამცნეს, რომ ჩვენი ტყვარჩელის ქვა-ნახშირი გადაეცია საექსპლუატაციოდ იტალიისათვის.

სამწუხაროდ არ ვიცით, რა პირობებით გადაეცა იგი უცხოელებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ **ქვანახშირი სხვას გადავეცით**, საუცხოვო დამამტკიცებელია ჩვენი ეკონომიური სისუსტისა.

ტყვარჩელის ქვანახშირი თვისი ღირსებით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ ქვანახშირებს. უცხოელ ინჟინერებისა და პროფესორების გამოკვლევით მისგან გაკეთდება საუცხოვო ღირსების კოქსი და მაშასადამე გამოდგება მეტალურგიაში სახმარად. მათივე გამოანგარიშებით ტყვარჩელში უნდა იყოს ქვა-ნახშირი არა ნაკლებ 12.000 000 000 ფუთისა.

და განა ძნელი წარმოსადგენია ის შედეგები, რასაც მიიღებდა საქართველო ამ საარსებო საგნის დამუშავებით?

საქართველო გადიქცეოდა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთათვის მაინც საარშიყო საგნად და, თუ დღეს ზევიდან დაგვცქერიან, მაშინ პირდაპირ თვალებში შემოგვხედავდნენ და ავირჩევდით იმას, ვინც უკეთესს პირობებს შექმნიდა ჩვენი არსებობისათვის.

არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, რომ ქართველ კაპიტალისტთა ერთ ჯგუფს უთხოვნია მთავრობისათვის ტყვარჩელის მაღაროებიდან ნახშირის ამოღების უფლება. (საკვირველია, რომ პრესაში არც ამის შესახებ თქმულა არაფერი!) არც ის ვიცი რა პირობები წამოაყენა ამ ჯგუფმა, მაგრამ ერთი ცხადია—**თუ კი მოხერხებული იყო საკუთარი კაპიტალით გვეწარმოებია ეს დიდი საქმე, სხვისათვის არ უნდა მიგვეცა**, რადგან უცხო კაპიტალი ნაკლებად იზრუნებს საქართველოს წარმატებისათვის. იგი, რაღა თქმა უნდა, დაისახავს მიზნად მხოლოდ თავის სახელმწიფოს ინტერესების სამსახურს.

და განა რაიმე საშიშროებას წარმოადგენდა ქვა-ნახშირის ექსპორტის საქმე, სანამ საკუთარ ქარხნებს ავამუშავებდით?

თვალი გადავავლოთ ევროპას.

იტალიას შეუტანია ქვა-ნახშირი იანვარში და თებერვალში: 1913 წელს 97.873.380 ფუთი, 1919 წ. 50 394.660 ფუთი, 1920 წ. 47.360 880 ფუთი, (იხ. გაზ. „La finanza italiana, 30 VII 20 წელი).

თუ ამ ციფრებს ჩავუკვირდებით, გავიგებთ იტალიის კატასტროფიულ მდგომარეობას. წელს თითქმის ორჯერ ნაკლები ქვა-ნახშირი დაუხარჯია, ვიდრე 1913 წელს. მაშასადამე ამოდენიმჯერ ნაკლები უწარმოებიას და აქედან ადვილი მისახვედრია, თუ რად დაეცა ფასი იტალიის ფულისა (ომამდე ერთი ლირა ღირდა ერთი ფრანგული ფრანკი, ახლა კი 10 ლირა ღირს მხოლოდ 6 ფრანკი).

ინგლისის მთავრობამ ივნისში (წელს) დაადგინა გასცეს უცხოს ქვანახშირიდან 15,000,000 ფუთი და დაანაწილა იგი შემდეგნაირად:

საფრანგეთს—45%, იტალიას 20%, მსოფლიო ბაზარს—35%. (იხ. ჟურნ. „L' exp. Fr." № 203 გვ. 821)

შვეციიდან ა. წ. ივნისის პირველ რიცხვებში იტყობინებოდენ, რომ იქაური ინდუსტრია უნახშირობის გამო იმყოფებოდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. (იხ. L'information financiere).

ბულგარეთის მდგომარეობა ხომ პირდაპირ აუტანელია. მაშინ, როდესაც 1914 წ. შეუტანიათ 12,780,000 ფუთი ქვა ნახშირი, 1917 და 1919 წწ. ერთი ფუთიც არ შეუზიდავთ და ამის გამო, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოს მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. (იხ. L'er. Fr." გვ 541).

გერმანიაში ა. წ. მარტის პირველიდან ქვანახშირის ფასმა აიწია 15 მარკით ყოველ ტონაზედ. (იხ. L'exr. Fr". № 192).

სამხრეთ-ალავაში ამოიღეს ქვანახშირი:

1919 წ. 149.643.480 ფუთი
1913 წ. 215 245.920 „

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, წარმოება იქაც საგრძნობლად შემოკლებულა. წელს უფრო ინტენსიურად მუშაობენ, ვიდრე შარშან. მაგრამ ვაგონების უქონლობისა გამო ქვანახშირის გადაზიდ გადმოზიდვა ძნელდება მაგალითად, ოთხ მაღაროდან იღებდენ ყოველდღიურად 156 ვაგონ ქვანახშირს, გზავნიან კი მხოლოდ 30 ვაგონს. (იხ. ჟურ. „France-Europe orientale № 16, წერ. დოქტორ ანტულსი „Yougo-Slavie").

საფრანგეთი ხომ, რომელიც იძულებული იყო ომამდე შემოეზიდა 1.380,000.000 ფუთი ქვანახშირი, დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

როდესაც უკანასკნელად წამოიჭრა მაღაროებში მომუშავეთა გაფიცვის საკითხი ინგლისში, ფრანკი საგონებელში ჩავარდა.

„თუ ინგლისის მაღაროელებმა გაიმარჯვეს, ჩვენში (საფრანგეთში) ყველაფერი პროპორციულად გაიზრდება: ჯერ ნახშირი, რომელიც მოდის ინგლისიდან: შემდეგ ყველაფერი ის, რასაც ამზადებენ მისი შემწეობით. დაეცემა ჩვენი ფულის ღირებულება ამერიკაში, რადგან იქ ნახშირის ფასი უცვლელი დარჩება, მაშასადამე ძვირად დაგვიჯდება ამერიკის ხორბალი, ესე იგი, ჩვენი პური". (იხ. გაზ. „Le Matin" № 13,311 წერ. „La eitanie du clardon").

და განა ეს მართალი არ არის? შარშან მარტო ინგლისიდან შემოიტანა საფრანგეთმა 720,000 000 ფუთი ქვანახშირი (ფუთი უჯდებოდა 6,60 ფრ—7,50 ფრანკამდე), სულ კი 1919 წ. უცხოეთიდან შემოზიდა 1.116 040.440 ფუთი. (იხ. ჟურ. „Exportation Importation" № 15, წერ. „La crise du clarbon").

ვერსალის ხელშეკრულობით, რომელიც ძალაში შევიდა ა. წ. იანვარში, საფრანგეთს უნდა მიეღო გერმანიიდან წლიურად 1.680.000.000 ფ. ქვანახშირი. 29 ივლ. ვერსალში დროებით შეუმოკლეს გერმანიას რაოდენობა გასაცემ ნახშირისა, მაგრამ იგი მაინც ვერ ასრულებს ამას და გადაწყვეტილ ანტანტისადმი ყოველ თვიურად გასაღებ 96,000,000 ფუთისა, ჩააბარა დეკემბერში მხოლოდ 36,000,000 ფუთი ქვანახშირი და ა. წ. იანვარში კი უფრო ნაკლები: 15,600,000 ფუთი.

როგორც სჩანს, გერმანია არ ასრულებს (თუ ვერ ასრულებს, სულ ერთია) პირობას და გადაწყვეტილ რაოდენობას ქვა-ნახშირისას ანტანტა ვერ ღებულობს. ყველაზე საგრძნობი ეს მოვლენა საფრანგეთ-იტალიისათვისაა და კიდეც გაჰხიხიან: „ჩვენ სახელოვანად გავიმარჯვეთ ბრძოლის ველზე: ეკონომიური ბრძოლა არ უნდა წავაგოთ"-ო.

მაგრამ სრული გამარჯვება ძნელია, რადგან საფრანგეთს ვერ აღმოუჩენია წყარო დანაკლის 1.860.000.000 ფუთ ქვანახშირის შოვნისა.

აი, ამნაირია დაახლოვებით სურათი იმ კრიზისისა, რომელიც გამოწვეულია ევროპაში უნახშირობისა გამო.

ტყვარჩელის კონცესიის მიღების შემდეგ იტალიას შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს. მან უზრუნველჰყო სახელმწიფოს ნორმალური მოთხოვნილება სულ უკანასკნელი 25—30 წლით (წლიურათ რომ გაზიდოს 600.000 000 ფუთი ქვანახშირი). ამ ხნის განმავლობაში კი იტალია დიდის, ძალიან დიდის ხნით წელში გამაგრდება. იგი აიცდენს თავიდან სრულ განადგურებას, რადგან ჩვენი ნახშირით მას მიეცემა შესაძლებლობა მრეწველობის გაძლებისა: გაზრდიან ექსპორტის ბალანსს იმ ზომამდე, რომ გაუთანასწორებენ იმპორტისას, რითაც რასაკვირველია, ღირებულებას შეჰმატებენ ამ ჟამად ევროპაში აბუჩად აგდებულ ლირას (ფულია) და აიცდენენ თავიდან მოსალოდნელ ამბოხებათ და ლამაზ იტალიის განადგურებას, რასაც მას უქადდა წინდახედული პრესა და პოლიტიკური მოღვაწენი.

ტყვარჩელის ქვანახშირის საკითხის გადაწყვეტის დროს კარგი იქნება არ დავივიწყოთ საბანკო ჭეშმარიტება:—რის გაკეთებაც შევიძლია, ჩვენვე გავაკეთოთ, თორემ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე „no ycam mo nomarem, no b pom ne nonaqem". **ხოლ. აბულდიანი.**

დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძის გამო

მე ბევრჯერ მიფიქრია იმ ანდერძის შესახებ, როდესაც განსვენებულმა დ. ზ. სარაჯიშვილმა მესამედი ნაწილი თავის ქონებისა უანდერძა ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას. მაშინ ვთქვი:—„ეხლა ბედმა გაუღიმა ქართველ მსახიობს—მეთქი", რადგან ჩვენი ავან ჩავანი და პატრონი დრამატიული საზოგადოება იყო და არის. მაგრამ გავიდა დრო-ჟამი და არ ვიცით ეს ანდერძი ვის ჩაბარდა. დღეს, როდესაც ჩვენი დრამატიულ საზოგადოების დახლი ცარიელია, როდესაც ქართველი მსახიობი ძლიერ დიდ გაჭირვებაში იმყოფება, გვესმის, რომ ეს აუარებელი სიმდიდრე ორს თუ სამს კაცს ჩავარდნია ხელში; რათა? რისთვის? ალაჰმა უწყის! მე მგონია, რომ ამ საქმეს მკაცრი გამოძიება სჭირდება, და რაც შეიძლება მალე, რადგან თუ ეს ანდერძი არ გამოაშკარავდა, მე დარწმუნებული ვარ, არც ერთი კეთილის მოსურნე აღარ მოინდომებს, რომ ჩვენს დაწესებულებებს და საზოგადოებას რითიმე დაეხმაროს და შემდეგში რამე გაიღოს. **ვასო აბაშიძე.**

პროფესიონალურ კავშირებში

ელექტრონზე მომუშავეთა კავშირში.

ვინაიდან შრომის ხელშეკრულობით მუშათა მიღება ხდება შრომის ბირჟის საშუალებით, ხოლო ბევრი კავშირების კოლექტიური ხელშეკრულებით მიღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სათანადო კავშირის თანხმობით, ამიტომ ელექტრონზე მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობამ სთხოვა სეკრეტარიატს განმარტოს, რა გზას დაადგენ ის კავშირები, რომელთა კოლექტიური ხელშეკრულება ხსენებულ საკითხის შესახებ ეწინააღმდეგება შრომის ხელშეკრულების კანონს.

კავშირის გამგეობის აზრით, კოლექტიური ხელშეკრულების ვადის გათავებამდე, მუშათა მიღება უნდა ხდებოდეს იმ კავშირების საშუალებით, რომელნიც აწვევენ მუშებს ბირჟიდან და ნიშნავენ მათ ადგილზე.

ტანისამოსისა და ფეხსაცმელებისათვის ფულის მიცემის შესახებ.

სატარიფო პალატის დადგენილებით, ელექტრონის სადგურზე მომუშავენი 1 აგვისტოდან იღებდენ 2500 მან. ნახევარ წლიწადში მუშათა კოსტიუმებისა და ფეხსაცმელებისათვის. დღემდე ეს ფული ეძლეოდათ მათ თვიურად, რაც ძლიერ უხერხულობას ბადებდა, ვინაიდან ცოტა თანხის მიღებით არ შეიძლება კოსტიუმებისა და ფეხსაცმელის ყიდვა.

ამის გამო ელექტრონის კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა სადგურის პატრონთა ფაბრიკა ქარხნების საზოგადოების სექციას ტანისამოსისა და ფეხსაცმელების ფული ეძლიონ წელიწადში ორჯერ.

საკითხი გადაეცა მომრიგებელ კომისიას, სადაც ერთხმად მიღებულ იქნა კავშირის წინადადება, მაგრამ მხარეების წარმომადგენელნი ვერ შეთანხმდნენ ფულის გადახდის დროის შესახებ.

კავშირი თხოულობს მუშებისადმი ტანისამოსისა და ფეხსაცმელის ფულის

მიცემას არა უგვიანეს თითოეული ნახევარი წლის მესამე თვისა. ვინაიდან, მომატება ძალაში შედის 5 აგვისტოდან, ამიტომ მან მოითხოვა ტანისამოსის ფულის მიცემა არა უგვიანეს 1 ნოემბრისა, ვინაიდან ბაზარზე ფასი დღითი დღე მატულობს და რამოდენიმე თვის შემდეგ 2,500 მან. ვერაფერს შეიძენს მუშები.

წარმოებული მოითხოვენ ამ ვადის პირველ დეკემბრამდე გაგრძელებას.

ელექტრონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ მიუღებლათ სცნო წარმოებულთა წინადადება და ამიტომ მან მიმართა შრომის კომისარს თხოვნით, რომ მან შესაფერისი ზომები მიიღოს იმისთვის, რომ შეთანხმება მოხდეს კავშირის სასარგებლოთ.

რკინის გზაზე

რესპუბლიკის რკინის გზების კომენდანტს.

მე ძლიერ სამწუხაროთ მიმაჩნია, რომ საერთო რკ. გზების გამოძიებები ატარებენ ასეთ ბუნდოვან ხასიათს და ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში არავითარ დასკვნამდი არ მიყავთ უმაღლესი ადმინისტრაცია. ექსპლოატაციის უფროსის მოხსენება მე არ მაკმაყოფილებს.

მე მიმაჩნია, რომ: 1) ანციდენტი გამოწვეულია სადგურ წალვერის ადმინისტრაციის უყურადღებობით, რასაც რკ. გზების კომენდანტის მოხსენებიდან მათ მოყვა ხელიდან გასხლტომა ცნობილ ყაჩაღთა. ამიტომ კომენდანტის უკმაყოფილება და მორიგ აგენტის საყვედური სრულიად გასაგებია.

2) ამ შემთხვევაში ტეხნიკურ ექსპლოატაციის პირობებზე მითითება სოფისტიკაა, ვინაიდან ერთ ორთქლმავალს სრულიად თავისუფლათ შეუძლიან ერთი უმუხრუჭო ვაგონის წაყვანა, რაც რკინის გზებზე ყოველ დღე ხდება. მაგრამ სრულიად დაუშვებელია, რომ სად. წალვერის ადმინისტრაციამ არ იცოდა ვაგონისა, მორიგემ არავითარი განკარგულება არ მოახდინა მიბმის შესახებ, სად. უფროსი მასის თანაშემწის მორიგეობის დროს ახდენდა დამოუკიდებელ განკარგულებებს მატარებლების მიღების გასტუმრების შესახებ—ეს საყვედური სრულიად ეწინააღმდეგება ექსპლოატაციის უფროსის მოხსენებას და გთხოვთ მიაქციოთ მისი ყურადღება იმაზედ, რომ ასეთი აგენტები „საუკეთესო აგენტებათ“ ვერ ჩაითვლებიან.

3) გაცილებით აჯობებდა ტეხნიკური მხრით ვაგონის გასტუმრება ცალკე, თავისუფლად მომავალ ორთქლმავალით, ვინემ მატარებლით და ასეთი სწორეთ პრაქტიკა ბაკურიანის შტოზე; ვაგონის მიბმის შესახებ სამართველოდან განკარგულების მიუღებლობაც არ არის საბუთი, ვინაიდან კომენდანტი ცალკე ვაგონით ჩამოვიდა წალვერში სამსახურის საქმეზედ და უკანაც დასაბრუნებლათ იმ ნებართვითვე უნდა მიეცათ, რომლითაც წალვერში მოიყვანეს; ეს წესი ცნობილია რკ. გზების უმაღლეს აგენტების მოგზაურობის დროს.

4) გამოძიების მასალა არ იძლევა საბუთს, რომ ადგილი ქონოდეს სამსახურის მოვალეობის დროს შეურაცყოფას; ხოლო სასტიკი შენიშვნის მიცემა უყურადღებობისათვის, რომელსაც ზემო აღნიშნული შედეგი უნდა მოყოლოდა, გასაგებია.

ზემო აღნიშნულის გამო, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება რათა:

1) სადგურის უფროსს მახარაძეს და მის თანაშემწეს ხამაშურიძეს მიეცეს სასტიკი შენიშვნა სადგურზე ტეხნიკურ მუშაობის მოუწყობლობისათვის და უყურადღებობისათვის.

2) ყველა სამსახურის უფროსებს მიეცეს წინადადება, რომ ერთხელ და სამუდამოთ შესწყდეს მათ ხელ-ქვეით აგენტების შეცდომებისათვის ხელის დაფარება და გამოძიების შედეგი იქნეს მარტივი და გასაგები.

ამასთანავე რკ. გზების კომენდანტს ვსთხოვ მგზავს შემთხვევებში სადგურის აგენტებს წინადადებანი გადასცეს წერილობით და წინასწარ რათა შესაძლებელი იქნეს ყოველივე საჭირო განკარგულებების მოხდენა და სათანადო შემთხვევებში სამმართველოდან განმარტების მიღება.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი **ბ. ჭიჭინაძე.**

ნაძალადევი

კვირას, 31 ოქტომბერს ყოფილი ბილანიშვილის გიმნაზიაში მშობელთა წრის გამგეობის მიერ, მოწვეული იყო საერთო ჩვეულებრივი წლიური კრება. დღიურ წესრიგში იყო: 1) მშობელთა წრის გამგეობის მოხსენება, 2) გამგეობის არჩევნები, 3) გიმნაზიის ბინის მოწყობა, 4) მიმდინარე კითხვები, მაგრამ რადგანაც კრებას ვერ დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა, ამისათვის გადაიდო მომავალ კვირისათვის 7 ნოემბერს და თათბირმა დაადგინა, მეორე კრება, რამდენიც არ უნდა დაესწროს, სრულ უფლებიანათ იქნას ცნობილი.

ჯერ კიდევ შარშან 1919 წელს გიმნაზიას ბილანიშვილები განაგებდნენ და გადასახადებიც ისეთი ჰქონდათ, როგორც საერთო ძველ არსებულ გიმნაზიებს, მაგრამ ნაძალადევი, დასახლებული ღარიბი ხალხით და მრავალმა მშობელმა ვერ შესძლო სასწავლო გადასახადის შეტანა თავის დროზე, ეს გარემოება კი საშინლათ მოქმედებდა მასწავლებელთა კორპორაციაზე, ისედაც ეკონომიურათ დაქვეითებულთ, ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობაც თან დაერთო. ასეთი პირობები, რა თქმა უნდა, იწვევდა გიმნაზიის საშინელ არევ დარევას და დაკეტვასაც. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია არა ჩვეულებრივი კრების მოწვევა. ღები ბილანიშვილები ეუბნებოდნენ საზოგადო კრებას: ჩვენ ყოველივე მხრით მზათ ვართ დახმარება გაუწიოთ, ჩვენს ავეჯსაც ვწირავთ, მხოლოდ გიმნაზიამ იარსებოს ნაძალადევში, რადგანაც ის ძლიერ საჭიროაო. ასეთმა გულკეთილობამ ბილანიშვილებისამ გამოიწვია მშობლებში სიხარული და მადლობა უნდა ითქვას, რომ ბილანიშვილებს დიდი ღვაწლი მიუძღვის ხსენებულ გიმნაზიის დაარსებაში. არაჩვეულებრივმა კრებამ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, მისცა მანდატი მშობელთა წრის გამგეობას, რომ ეშუამდგომლათ განათლების მინისტრთან, მიეღოთ თავის თავზედ მზრუნველობა და ჩაერიცხათ საშუალო სრულ უფლებიან სასწავლებელთა რიცხვში, რაც წელს შესრულებული იქმნა. ეხლა მომავალმა კრებამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ბინის საკითხს, რომელიც დღემდის არ არის მოწესრიგებული. გიმნაზიაში დღეს 350 დე მოწაფე სწავლობს და მათი ბინაც აღარ მოიპოვება და ამათ ნახევარს თითქმის და ისიც პირველ დაწყებითი კლასების მოწაფეებს უხდებათ საღამოობით სწავლა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მომავალმა კრებამ შესაფერი ზომები უნდა მიიღოს სადაც ჯერ არს და აუცილებლათ ორი ოთახი უნდა დაცალილ იქნას და მდგმურები სხვა ადგილზე მოთავსებულნი.

გ. გუბელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისის მაზრის სოციალ დემ. მ. პ. სამაზრო კომიტეტის კრება. 24 ოქტომბერს გაიხსნა სამაზრო კომიტეტის ჩვეულებრივი კრება. კრებას დაესწრო გარდა საგარეჯოსი ყველა რაიონების წარმომადგენლები.

კომიტეტის თავმჯდომარემ ან. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ საერთო მდგომარეობის გამო, მთელ ზაფხულში პარტიული მუშაობა სუსტათ მიმდინარეობდა, ამხანაგები გაფანტული იყვნენ და თითქმის პარტიის ყველა წევრები სხვადასხვა ფრონტებზე იმყოფებოდენ.

მიუხედავათ ძნელი პირობებისა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით, პარტიული ორგანიზაციები მაინც მოქმედებდნენ, ხშირათ იმართებოდა კრებები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობაში. ეხლა კი თავი მოიყარეს ამხანაგებმა, ყველა თავის ადგილზეა და წინ გვიძევს დიდი მუშაობის ხანა და მთელს ზამთრის სეზონში უნდა ვტრიალებდეთ. საჭიროა მასიური კრებები, საჭიროა ორგანიზაციების გამაგრება, პროპაგანდა—აგიტაცია, კულტურული მუშაობა. დღევანდელმა კრებამ ამ მომავალ მუშაობის შესახებ შესაფერი დასკვნა უნდა გამოიყვანოს და ეს, რაც აქ ითქმება, ცხოვრებაში უნდა გავატაროთ.

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ კრება ღებულობს წინადადებას გაეგზავნოს მისალოცი დეპეშები კარლ კაუცკის და სახალხო გვარდიის მეორე ყრილობას.

იწყება მოხსენებები. სამაზრო კომიტეტის პროპაგანდისტი ამხ. ლ. კაკაბაძე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მაზრაში ამ ჟამათ მუშაობა წინ მიდის, ყველა თემებში არის პარტიული ორგანიზაციები, იმართება კრებები, მიტინგები. ხალხში დიდია სურვილი კულტურული მუშაობისა, საგარეჯოში და ხაშმში დაარსდა ახალგაზრდა წრეები, სადაც იმართება კრებები და მიდის სისტემატიური მეცადინეობა, ყველა რაიონებში არის გვარდია, რომელსაც სათავეში უდგას შეგნებული ამხანაგები, მაზრაში ბოლშევიკური მოძრაობა თითქმის სრულიად გაქრა, მხოლოდ გაჭირვება სოფლებში დიდის, რადგანაც სანოვაგე აღარაა.

სახალხო გვარდიის სამოგზაურო დასმა გარე კახეთში კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და სხვაგანაც მოითხოვენ.

ერობის სოც.-დემოკრ. ფრაქციიდან მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი დ. ონიაშვილი, რომელიც ამბობს, რომ მაზრაში ერობის მოღვაწეობა თანდათან მტკიცდება; თემები ეჩვევიან დადებით მუშაობას, მაგრდებიან და ხალხიც სიმპატიით ეპყრობა. ადმინისტრაციის გასამაგრებლათ და გასაჯანსაღებლათ ერობა მუშაობს, სრული იმედი გვაქვს კარგ ნიადაგზე მოეწყობა და თუ დღემდის იყო დეფექტები, მომავალში ის აშორებული იქნება თავიდან.

უმთავრესი მუშაობა ამ ჟამათ გამოიხატება თემების ორგანიზაციების გამაგრებაში. ახლო მომავლის საჭირბოროტო საკითხია ერობის ხმოსანთა არჩევნები. უმაღლესი განკარგულებით არჩევნებისათვის მზადება უნდა დაიწყოს და თებერვალში კიდეც მოხდება. ამიტომ სამაზრო კომიტეტმა ეხლავე უნდა მიიღოს ენერგიული ზომები და პრაქტიკულათ უნდა შეუდგეს მოქმედებას.

სასამართლოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ასათიანი, რომელიც აღიარებს, რომ სასამართლოების საქმე ცუდათ იყო მაზრაში, მაგრამ დაწყებული მუშაობა მის მოსაწყობათ სასურველათ მიმდინარეობს და ნაყოფს გამოიღებს.

ცენტრალ. კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს სალუქვაძე, რომელიც ეხება მოკლეთ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას და მის შედეგებს. შემდეგ თფილისის ორგანიზაციების თათბირებს ამ საკითხის გამო და კრებას აცნობს მიღებულ რეზოლიუციას.

ცენტრალ. საკანტროლო კომისიიდან მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ის. რამიშვილი, რომელიც უმთავრესათ შეჩერდა ქუთაისის გუბერნიის პარტიულ ორგანიზაციების თანამედროვე მდგომარეობაზე და აღნიშნა მისი ნაკლი იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის მხრით.

საერთო მოხსენების შემდეგ იწყება რაიონებიდან მოხსენებები.

დამფუძნებელი კრების წევრი შევჩუკი და კომ. წევრი ს. ხომერიკი (აღბულახიიდან). პარტიაში 145 წევრია, თანამგრძნობი კი დიდძალი, კრებები იმართება, ადმინისტრაცია ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, განსაკუთრებით საჩივრებია მილიციის უფროსზე, თემი მუშაობს. გვარდიას და თემს შორის კარგი განწყობილებაა. რაიონში აუცილებლათ საჭიროა მუდმივი პროპაგანდისტი.

ი. ფავლენიშვილი და ღარიბოვი (მანგლისის რაიონიდან). რაიონში 260 წევრია. კოლექტივის კრებები ყოველ კვირაში იმართება. თემის საქმე არეული იყო, მაგრამ ბოლო დროს მოეწყო. გვარდიის შორის უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი ინტრიგის ნიადაგზე, მაგრამ მთავარმა შტაბმა მიაქცია ყურადღება და ამ ბოლოს მოისპო. ამ ჟამად სრული თანხმობაა გვარდიის თემის და ადმინისტრაციის შორის. ხალხი მოითხოვს კულტურულ მუშაობას.

გ. კილასონია (აგჯალა). პარტიაში 100 წევრია. კრებები იმართება. მუშაობა ჩვეულებრივია. მუშების ნივთიერი მდგომარეობა ცუდია.

მ. ჯილაური (პატარძეული). პარტიაში 120 წევრია. კრებები სისტემატიურათ იმართება. მოსავალი ცუდი იყო სეტყვამ და მინდვრის თაგვმა გაანადგურა. ხალხს შიმშილი მოელის, რადგანაც სათესლე ვერ იშოვნეს; ადმინისტრაციაზე უკმაყოფილებაა. სოფლებში სიწყნარეა. ბოლშევიზმი მოკვდა.

დ. ნახუტიშვილი (ასურეთიდან). პარტიული კრებები იმართება სისტემატიურად. ორგანიზაციაში 300 მეტი წევრია. მილიციის უფროსი ვერ იქცევა კარგათ. მოსავალი სეტყვამ გააფუჭა. ხალხს თესლი არ მოეპოვება.

ვ. მაისურაძე (ხაშმიდან). პარტიაში 310 წევრია, კრებები იმართება, კულტურული მუშაობა არის. საჭიროა პროპაგანდა-აგიტაცია. მოსავალი ცუდი იყო. ნათესი სეტყვამ დააზიანა.

გ. კახაბრიშვილი (მარტყოფიდან). პარტიაში 340 წევრია. ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანხმობაა. მოსავალი მეტად ცუდი იყო, დესეტინაზე 5 ფუთიც არ მოსულა. ხალხის დახმარება აუცილებელია.

ტ. სლარაძე (ხატისთელეთი). პარტიაში 65 წევრია. მუშაობა სწარმოებს, კრებები იმართება.

კოტორაშვილი (დილომი). პარტიაში 110 წევრია, კრებები იმართება. მოსავალი კარგი იყო. კულტურული მუშაობა არის, იმართება წარმოდგენები, ამ დღეებში გავხსნით ბიბლიოთეკა სამკითხველოს. აგრეთვე მოხსენებები გააკეთეს ამხ ათ. ქვათაძე და გ. აფციაურმა ბელიკლიუჩიდან და არ. კუკინოვმა და მოსმენილი იქნა სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა ყველა საკითხებზე კამათი. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები. (რეზოლიუციები და დადგენილებები ცალკე იქნება დაბეჭდილი).

კრების მდივანი **ან. გიგილაშვილი.**

მუშათა შორის

სოხუმი. ნავთსადგურზე მუშაობს 17 კავშირში შეკავშირებული მუშა. კავშირის წევრთა უმეტესობა სახალხო გვარდიაში ირიცხებიან. მათი ხელფასი ზაფხულში 750 მანეთიდან 10,000 მანეთამდე აღწევს; ზამთარში კი ხელფასი ეცემა 2000—2500 მანეთამდე. ამ დროს უმეტესად სამხედრო ტვირთი გადააქვთ. კავშირს აქვს კასა, საიდანაც დახმარებას უწევენ კავშირის ავათმყოფ წევრებს. საქმის წარმოება სუსტად არის დაყენებული—ის ქართულ ენაზე სწარმოებს. მუშაობა სწარმოებს სატარიფო პალატის მიერ დაწესებული ტარიფით. კავშირს მოდის გაზ. „ერთობა“. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან არსებობს კლუბი. მას მოდის გაზეთები: „ერთობა“, „ბორბა“ და ჟურნალი „მუშათა ცხოვრება“; აგრეთვე „ნაშე სლოვო“-ც. უკანასკნელ სხდომაზე საბჭომ აირჩია კულტურულ - განმანათლებელი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ლექციების კითხვის მოწყობა. საბჭო აერთიანებს 130 კაცს. არსებობს მორიგებელი კამერა, რომელსაც ინახავს ქალაქის გამგეობა.

X.

ბათომი. 28 ოქტომბერს მუშათა სასახლეში შესდგა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრება აიოლოს თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 47 კაცი. დღიურ წესრიგში იყო: 1) ბინის საკითხი და მისი კომისიის მუშაობა, 2) მოკლე ვადიანი კურსები, 3) მუშათა კოოპერატივში. პირველ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს აიოლო, რომელიც ეხება კომისიის მოქმედების ზოგიერთ უარყოფითი მხარეებს და უთანხმოებებს, რომლებსაც ჰქონდა ადგილი ქ. ბათომში. რომ ეს ნაკლულოვანება და უთანხმოება გაიფანტოს, და კომისიას მიეცეს ნამდვილი მსვლელობა, მუშათა და მოსამსახურეთა ინტერესები მტკიცეთ იყოს დაცული, ამისათვის შემოსქვს წინადადება, რომ კავშირთა საბჭომ გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი სრული უფლებით აღჭურვილი ამ კომისიაში. წინადადება ერთ ხმათ იქნა მიღებული. კულიშეს შემოაქვს წინადადება, რომ ამ კომისიის წევრს მიეცეს ჯამაგირი და სრულიად განთავისუფლდეს სხვა თანამდებობიდან, რომ მისი მუშაობა ამ კომისიაში ნაყოფიერი იყოსო, მიღებულ იქნა. მიღებულ იქნა აგრეთვე აიოლოს შემდეგი წინადადება: გადაეცეს კანდიდატის დასახელების უფლება სეკრეტარიატს.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს აიოლო, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს კურსები აუცილებელია, როგორც—ერთით მუშათა კლასისათვის, ისევე მათ ორგანიზაციებისათვის და დასძენს: ამ კურსებს შეუძლია მომავალში მოგვცეს გამოწვრთნილი და მომზადებული მუშაკები, როგორც პროფესიონალურ კავშირებისათვის, ისე მუშათა კოოპერატივებისათვის. მართალია, ამ კურსებს დასჭირდება დიდი თანხა დაახლოვებით 150,000 მანეთი, მაგრამ ამით ჩვენ გულს ნუ გავიტეხთ, რადგან, ჩვენ დაგვეხმარება ამ საქმეში ცეკავშირი, ჩვენ დაგვჭირდება დაახლოვებით 50,000 მ. გამოღება. კავშირები და კოოპერატივები გზავნიან მოსამზადებელ კურსებზე 2 კაცს. კურსები გაგრძელდება 2—3 თვეს, კრება დიდის სიხარულით ეგებება ასეთ ნაბიჯს.

მესამე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს სერგო დევდარიანი, რომელიც მოუწოდებს მუშებს და მოსამსახურეებს, რომ კოოპერატივის ცხოვრებაში და მის აყვავებაში დიდი მონაწილეობა უნდა მიიღონ, რადგან მუშათა კოოპერატივების წყალობით შეიძლება თავის დაწევა კერძო ვაჭარ-მძარცველების ბრჭყალებიდან. ამხ. დევდარიანი მიუთითებს წესდების ზოგიერთა მუხლებზე და აღნიშნავს მის უვარგისობას. მაგალითად არის მუხლი, რომლითაც გამგეობაში 9 კაცი უნდა შედიოდეს, საკმარისია კი 5 კაცი. მეორე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ გამგეობა უნდა მუშაობდეს უსასყიდლოთ, ეს მუხლი უვარგისია, კოოპერატივის გასაფართოებლათ და მის ნაყოფიერ მუშაობისათვის საჭიროა გამგეობის წევრები სრულიად თავისუფალნი იყვნენ სხვა სამსახურიდან და კოოპერატივებიდან ეძლეოდეთ ჯამაგირი. ყველა ამისთვის საჭიროა გადიდდეს საპაიო გადასახადი 1000 მან. და საწევრო 100 მ. ათასი მანეთის შეტანა შეიძლება 4 ნაწილათ 4 თვის განმავლობაში, უმუშევარი მუშები სანამ მუშაობას დაიწყებენ, საშუალება ეძლევათ შეიტანონ მარტო საწევრო გადასახადი.

ედიპი.

პროვინციაში

სამეგრელო. სამეგრელო 1918 წ. ზაფხულის თვეებში ღელავდა, როგორც აბობოქრებული ზღვა. ყველგან ანარქია იყო გამეფებული. ქურდ-ბაცაცები, დეზერტირები, პროვოკატორები და სამშობლოს მოღალატენი ბოლშევიკური ქურქით მოევლინენ ხალხს და იწყეს მათი გახრწნა. ფრონტიდან დაბრუნებულნი დაქანცულნი ჯარის კაცნი, რომლებსაც სწყუროდათ მშობლიურ კერაში მყუდროდ დასვენება, გადიბირეს სხვადასხვა აღთქმით. ცარცვა-გლეჯას, ალებას, ოხვრა-ტანჯვას, სისხლის ღვრას და ელდებას საზღვარი არ ქონდა. სოფლები განადგურდნენ, ხალხი დაფრთხა, ზოგი გადაიხიზნა, ზოგი ტყეში დაიმალა, მუშაობა მოკვდა და კეთილ-დღეობა გაქრა. აი ყველაფერი ეს იყო გამეფებული იმ დროს, როდესაც მე უკანასკნელად გამოვეთხოვე ჩემს სამშობლო კუთხეს, უკანასკნელი იმედიც დაკარგულმა და სასოწარკვეთილებით მოცულმა. არასოდეს არ მეგონა თუ ოდესმე სამეგრელოს გაუღიმებდა ბედი და დაადგებოდა იგი განახლების გზას. მაგრამ როგორი იყო ჩემი განცვიფრება, გაკვირვება, როდესაც ეხლა იგი ასე გამოცვლილი, საუკეთესო პირობებში ვნახე. წარსული მწარე დღეებისა მას არ აჩნდა. ყველგან სიცოცხლე სდუღს, ყველგან გახარებული მუშაობა, მუშაობა შეგნებული და დაკვირვებული, ყველგან შეკეთებული ახალი გზები, ყველგან ახალ გახსნილი სკოლები, ყველგან ფოსტა ტელეგრაფის პუნქტები, ყველგან ელმენის ქსელი, ყველგან უღრმესი პატივისცემა, სიყვარული და ნდობა თავის მთავრობისადმი—აი რა ვნახე ეხლა სამეგრელოში. რა დიდი განსხვავებაა და რა დიდი უფსკრულია წარსულსა და აწმყოს შორის. პირდაპირ ჯადოსნური ხელი უნდა ტრიალებდეს აქ, რომ ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში ასეთი ცვლილება და ასეთი მუშაობა სჩანდეს. ეხლა კი დავრწმუნდი, თუ რა ძალა ყოფილა ხალხის ხელში, თუ კი ოდნავ ხელს უწყობს ზოგიერთი პირობები. ასეთი ენერგიული მუშაობა და ასეთი სწრაფი წინსვლა აიხსნება მით, რომ სამშობლოს სათავეში უდგანან მასი ღვიძლი შვილები, რომლებსაც მასზე შეტკივათ გული და ყოველ წამშიაც მზათ არიან ყოველნაირი მსხვერპლი გაიღონ სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

კიწიელი ქალი.

იტირი. (სურამის თემი), 12 ოქტომბერს სოფ. იტირის სკოლაში მოწვეული იქნა კრება. კრებას დაესწრნენ ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნიკოლოზ ხაჩიძე. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის გ. ცინცაძისა. უპირველესად ყოვლისა მომხსენებელმა ვრცლად დაასურათა დღევანდელი მომენტი. შეეხო საბჭოთა რუსეთს და დაახასიათა აქ მყოფი ბოლშევიკური აგენტების სულისკვეთება და მათი კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკა და მოქმედება, რომელიც მიმართულია დემოკრატიული საქართველოს დასამხობად და მის რევოლიუციის მონაპოვართა გასანიავებლად; ზიზღით იხსენიებს იმ მაცდურ აგიტატორებს, რომლებიც დაძრწიან სოფლად და აცხედრებენ მდაბიო მასას თავისუფალ საქართველოს წინააღმდეგ თავის სხვადასხვა ეგოისტურ მიზნების მისაღწევად... შემდეგ დაუპირისპირა ერისმანეთს იმპერიალისტურ ქურქში გახვეული რუსეთის ბოლშევიზმი.

მომხსენებელმა ნათლად დაუხატა მსმენელთ ის ენერგიული ბრძოლა საქართველოს დემოკრატიისა, რომელმაც შეძლება მოგვცა თავი დაგვეხწია იმ კონტრ-რევოლიუციონურ აზვირთებულ ტალღებისათვის, რომელმაც მუხანათურად მახვილი ჩასცა ზურგში რუსეთის დემოკრატიასა და დაუძლურა იგი.

ორატორი მოუწოდებს, რათა მთელმა საქ. დემოკრატიამ საქ. დემ. მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს ნორჩი რესპუბლიკის საბედნიეროდ და მთელი ქვეყნის მაშვრალთა საკეთილდღეოდ.

მომხსენებელს დამსწრე საზოგადოება ოვაციებს უმართავს.

კრების თავმჯდომარე **ნიკ. ხაჩიძე.**

წერილები რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი და გულწრფელი მადლობა მოუძღვნა, მესანგრე ათასეულის უფროსისა, მისი ჯარისკაცებისა და კულტურა-განათლების საქმის ხელმძღვანელთა სახელით, ქალბატონ რჩეულოვისას და მალაროს კარელს, რომელთაც ხელი შეუწყეს თავისი დაკვირვებული თამაშით ამ ათასეულის თეატრში გამართულ პირველ წარმოდგენის კარგად ჩატარებას, და ბ-ნ რეჟისორს,—სოკრატ სულთანიშვილს, იმ უანგარო და თავგამოდებულ მუშაობისათვის, რომელიც მან დაახარჯა ჩვენი ათასეულის ჯარისკაცთა, თეატრისათვის საფუძვლის ჩაყრას.

მესანგრე ათასეულის ინსტრუქტორ-ოფიცერი **ხანანაშვილი.**

რედაქტორი **ლევან ზათაძე**

განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დოქტორი
გ. გ. მებრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ზოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის $10\frac{1}{2}$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვ-ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი, ვაქცინოტერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ი. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, სოლოლაკი

კ. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7- ნოემ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი
კ. ცუეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—$7\frac{1}{2}$ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.).

სახელმწიფო სტამბა, ერთობის ქუჩა №4